



(... 221) 726

h - 844



3607 გიორგი ჩუბინაშვილის მიმღები ტარი

## მცხეთის ჯვარის მცირე ტარი

(ცალკე გადმონაბეჭდი ტფილის უნივერსიტეტი  
მთამბიდან, № 2)

ტფილისი

ს. მ. უ. ს. პოლიტიკური, განყ. მეცნ. სტანდა

1922



## მცხეთის ჯვარის მინიჭ ტაძარი

### გიორგი ჩუბინაშვილისა.

მცხეთის აღმოსავლეთით, არაგვის მარცხენა ნაპირის, მაღალ კლდეზე საქართველოს მოქაევის დროიდან (IV საუკუნიდან) აღმართული იყო ჯვარი, რომელიც დიდ თაყვანის ცემაში იყო არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სომხეთშიც. გარდმოცემით მირიან მეფემ აღმართა აქ ერთი იმ სამ ჯვართაგანი, რომელიც მან შეაკრევინა<sup>2</sup>. ხელი ეს:

1) ონიშნული გამოკვლევა უკვე დაიბეჭდა გერმანულ ენაზე: Untersuchungen zur Geschichte der georgischen Baukunst von Prof. Dr. Georg Tschubina-schwili. Erster Band: Die kleine Kirche des heiligen Kreuzes von Mzchetha. Verlag der Staatsuniversität zu Tiflis, 1921.

2) მოქცევა ქართლისად შატერდისა და ქელიშის ხელობას ხელობაშეტების მიედுით: Е. С. Тахишвили, Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузинского населения, томъ II, Тифлисъ 1906—1912, стр. 713-714, 787-792, 793-795, 800-801 (მარტო შატერდის ხელობაშეტების მიხედვით კა: ექვ. თაყაი შვილი, ახალ ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა ანუ მეორე ნაშილი ქართლის მოქაევისა, ტფილისი 1891, გვ. 55-59, 60-63, 69-70). მე-XIV თავი მოიპოვება. იგრეთვე როგორც ცალკე «საკითხები»; მოსე ჯანა შვილმა დაბეჭდა ასეთი «საკითხები» საექლესიო მუზეუმის ხელთაშეტების № 144 (მე-X საუკ.). მიხედვით განხეთ «ივერია»-ში, 1898 წ. № 190—191. იგივე თქმულება შეტანილია ქართლის ცხოვრების ტექსტში, ე. ი. ლეონტი მროველის ნაწარმოებში (მართ ბროსესეს გამოცემა, საბ. 1849 წ., გვ. 93-95; ე. თაყაი შვილის გამოცემა მარიამ დელოფლის ვარიანტისა, ტფილისი 1906, გვ. 100-103; Histoire de la Géorgie, tome 1, traduit par M. Brosset, St.-Pétersbourg 1849, pp. 121-124). ნიკოლოზ კათალიკოს მიერ (ცხოვრებდა XII საუკუნის მეორე ნახევარში) გადაეცემულს სეეტი-ცხოვლის საკითხებში პირდაპირ არის ნათქვამი ოთხი ჯვრის გაკეთების შესახებ (საქ. სამ., 99<sub>24</sub>; მაგრამ 100<sub>18</sub> ისევ სამია). მთელი მისი მოთხოვნა შეიძოობულია (საბინინი, საქართველოს სამოთხე, საბ. 1882 წ., გვ. 98-101—2). კარბელა შვილი, საკითხები სუბტის ცხოველისად, კურთისა საუფლესა და კათოლიკე დელესისა, ტფილისი 1908 წ., გვ. 90-95). მაგრამ ტექსტი სულ ერთიანი შეცვლილია არსენ კათალიკონის მიერ XIII საუკუნეში, სადაც მოქადა არის მოხსენებული ოთხი ჯვრის ამაღლება (3. კარბელა







հայոց քառակազմութեան պարուսանո չքրոս Յիշանքը յըսթա-  
տո մըսեղելուս լիովարդա՞նո, հոմելու՞ և օպարունուա տաճամբուրոցուս մոյր  
մը VI և սույնուս մյուրա նաեցարմու<sup>1</sup>. չքրոս մանոն տացուսոյուալ աջուլոս  
ոյու ալմահուլո. հոմգուսպ 544-545 թուլս<sup>2</sup> յըսթատո և սրբունի  
Ծովունուսնո դանձարց մահութանուն մատո մոմից Տաճարուունուս հացոնցիոտ,  
ունոն գամոյետուցը մշոմելունուս և նատուսացը և գայմինացին մըսե-  
տուլա<sup>3</sup> մըսելունուս տաճալունուտ. և քրուան Քանձուուս յաջած և մասունցէ  
Քանձու քայրուս մըսելուսէ, առունուն այժմոն միմուաման յըսթատո և այժմ...  
յաւարու այս և ուրիշա տէյս<sup>4</sup> նույնաման յըսթատո, քայրուս տայսանուս-և ւր և  
ունոն յուշեցաւս մասցան և Քանձամանուն ըլլուանու<sup>5</sup>. այ գառակազմուալ արու

ԱՃԱՍԿՐՅԱ (Յարուաթ գրուունուսոյուալ յարուլ. լի., 197 և Chronique arménienne, v. Additions et éclaircissements à l'Histoire de la Géorgie, SPbg. 1851, p. 47).

1) օ. չազանո Ցազոլս, օւստուրուս մոնանո, Մյուսուրուս և մըտուուծի. Շոշնո I, Ծովունուս 1916, ը. 4; յարուուլ յրու օւստուրուս, I<sup>2</sup>, Ծ. 1913, ը. 196. Adolf Harnack<sup>-ի</sup> տացուս Մյոնթենցի յըսթատո մըսեղելուս լիովարդունուս տաճամբուս Յիշանքը (Dschawachoff, Das Martyrium des heiligen Eustatius von Mzchetha (Aus dem Georgischen übersetzt) in: Sitzungsberichte der kgl. preussischen Akademie der Wissenschaften, Berlin 1901, Bd. XXXVIII, pp. 896-897) ամեռամ, հոմ ու Մյութենցի լիովարդունու ուն ու ոյուս 600 թուլս մաթունուլու և ոմուս օւստուրուս լիովարդունու, հոմ ոյու յըսթատունուս Մյութենցի լիովարդունու, լիովարդունու առու (ը. 896, է 3 և 4), մունցաց ուրու մոսաներման տացու Ծոյսիրուս Յիշանքը. առու յրուու մոսաներման հայուն գամարժունութեալ ար մոյզահնու. Արուու. օ. չազանո Ցազոլս մա տացուս «մը-  
տուուծի» մըտուր յամակամու (Ծ. 1921) յըսթատոս լիովարդուս լուլզան մոյ-  
լու տացու, սագաւ օմ օւստուրունու մունաս, հոմ օւցուլուս տացուանուրուցը դըրանա  
տաճամբուրոցուս մոյր ուն ու ոյուս Մյութենցի լուլզան, մացրամ Մյութենցի, ոյնք օմքը  
մը VI և սոյցինուս օւստուրունուս ան մը VII և. լումուց մոտենունամու ըլլուունու  
Մյութենուատ» (ը. 32), ը. ո. մաս Մյութենցի, հաւ Տաճարուունուս «ցածարունենքուլու  
ոյու նյուստուրունունա և մոնուունու լուրու յինուունունունա (ը. 31), հոմլունու  
սայահուուլունու «Մյութենցի և Մյութենցի ուն և սահմանունունուս տացուս. և ունունուս տաճամբու-յունա մունճատ.

2) օ. տացու 1 և 12 լիովարդուս յըսթամնուլու տաճամբունուս, հոմելուու Մյութենցի լիովունուս և սայուլունուս մոյութենուս № 176 նյութունայիցի, մոյելուու,  
ը. 876 և 881 (օգորշուց 895), ան սայահուուլուս սամուել, յամու. շո ծ հուն  
սամունունուս մոյր, և 3. 1882, ը. 313, 315.

3) օ. սամ., ը. 316. — յըսթամնուլու տաճամբու (տացու 13), ը. 882.



ნათქვამი, რომ ეს იყო «ნიში» ანუ «ხატი» — პატიოსანი საკუთრივი ცეკვა იყიდეს იმაში კი ორ ყოფილა აღმართული, არამედ ცის ქვეშ, თავისუფალ აღვილის. ამ გარემოების განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება ჩერნოვის იმის გამოსარკვევად, თუ როდის არის აშენებული თვით ტაძარი<sup>1</sup>.

შემდეგი ცნობა კი ამტკიცებს, რომ ჯერის აღვილას უკეთ ტაძარი იყო აგებული: ქართლის კათალიკოზის კირიონის მიწერა-მოწერაში, რომელიც მას გამართული ჰქონდა სომხის აბრაძე კათალიკოზთან ორივე ქვეყნის ეკლესიის განცოფის წინ 607-609 წლებში, პირდაპირ არის ნათქვამი, რომ მცხეთის ჯერის ტაძარში თავანისაცემად მოდიოდენ გარდა ქართველებისა სომხებიც<sup>2</sup>.

მართლაცდა მცხეთის ჯვარი შეუძლებელია დიდ ხანს დარჩენილიყო თავისუფალ აღვილას ცის ქვეშ, როგორც ეს თავში იყო. ასეთ პატიოსან ჯვარს კულტურული ზრდის შემდეგ პირველ შემთხვევისთანავე — კულტურის აღორძინების პირველ ხანებშივე — უნდა მიეღო ღირსეული სამკაული. შეუძლებელია ცველაზე უფრო მაღლა დაეყენებათ ძველი დროის ტრადიციები; ცველაფერი იცვლებოდა და ეგუებოდა ეპოქის ახალ აზროვნობას. ასეთი გარდატების ხანა. უკველია, დადგა მას შემდეგ, რაც VI საუკ. პირველ ნახევარში მოისპო საქართველოში მე-

1) როდესაც ი. ვ. ჯავახიშვილი სწერს (Термины искусства ... въ древне-грузинской литературѣ: Христіанскій Востокъ, т. III, 1914, с. 22): наиболѣе известными и въ то же самое время [наиболѣе?] древними храмомъ такого рода [именно крестообразнаго въ планѣ] были «ჯუარი მცხეთის», который упоминается въ житіи Евстафія Мцхетскаго (р. церк. м. № 176, л. 174-196), ან მოციავს ტექსტის ადგილი: ან არის ნახევები, თუ ხელთნაწერის რომელ ფურცელს ან დაბეჭდილი ტექსტის რომელ გვერდს ექვთნის მის მიერ ნაჩენები ადგრლი; აღნიშნულია მხოლოდ ხელთნაწერის ის გვერდები, რომელიც მოელ ცხოვრებას უკირავს; თუმცა ქართველ ერ ის ისტორიაში ციტატები მას მოჰყავს და მეტალი ტექსტიდან.

2) Գիրք թղթաց (Սահմակ Մեսրոպիան Մատենադարան, Ե), Թիֆլիս 1901, გვ. 164, 178, 191 და უბრანესი (Պատմութիւն բաժանման Վրաց և Հայոց, Վաղարշապատ 1871), გვ. 74, 89, 90, 130, 136 = traduction franâaise (M. Brosset, Deux historiens arméniens, 2-e livraison, SPbg. 1871), pp. 321, 329, 330, 349, 351.



ფობა და შემოვიდა მთავრობა<sup>1</sup>. მართლაც «მოქუცევად ქართლისად» გადმოგვცემს, რომ პირველმა მთავარმავე გუარამა მცხეთის ჯვართან ააგო ტაძარი<sup>2</sup>. მარტო ის ფაქტი, რომ გუარა მა ააგო ტაძარი ამ წმიდა ადგილას, საქართველოს სწრაფი კულტურული ზრდის მაჩვენებელია. ხოლო ეს კულტურა და ქვეყნის კუთილდღეობა კიდევ უფრო სწრაფი ნაბიჯით მიიწვეს წინ VI და VII საუკუნეების ჯვარედინზე. როდესაც უკვე გუარამის შეილს ს ტეფანოზს არ აქმაყოფილებს თავისი მამის ნალეგზი; იგი იუყებს ახალი შენობის აგებას და თავისი მმის შენობის გვერდით აგებს დიდ ტაძარს ადგილობრივის, კავკასიის ქრისტიანული ხუროთმოძღვრების უკანასკნელი მოთხოვნილების მიხედვით.

ამ შრომაში ჩვენ განზრახული გვაძეს ორივე ძეგლის ანალიზი კი არა, არამედ მხოლოდ პირველის, მცირე ტაძრისა, რომელიც ჩვენის აზრით გუარამის მიერ არის აუგრძელებული<sup>3</sup>, რის დამტკიცებასაც მე შევეცდები ქვემოდ, სადაც განხილულია ტაძრის ხუროთმოძღვრული თვისებანი და გარჩეულია ლიტერატურული გარდონულებანი საზოგადოდ მცხეთის ჯვრის აუგრძების შესხებ.

<sup>1)</sup> შეად. ივ. ჯავახიშვილი, ქართველ ერის ისტორია, წიგნი I, ტფილისი 1913, გვ. 196.

<sup>2)</sup> პროფ. კორნ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ ეს მცირე ტაძარი, რომელიც დიდი ტაძრის ჩრდილოეთით არის აგებული, გოლგოთის ტაძრად იწოდება. ეს — როგორც პირადად გამომგვცა — მან ადგილობრივ გამოატყვანა. მოელი ეს მთაც გოლგოთის სახელს ატარებდა (Ель вопросу об иерусалимскомъ происхожденіи грузинской церкви, с. 7). იგივე სახელწოდება მოჰყვა ა. ნატროშვილსაც (Мцхетъ и его соборъ Святі-Цховели, Тифлисъ 1901, с. 17). ეს სახელწოდება გვხვდება ჩვენ წმ. ნინოს ცხოვრების პელიშის გარიანტში, სახელღობრ მირიან ს წერილში, რომელიც მან სიკედილის წინ დასწერა, სადაც ნათელად სასწაულზე ადგილისა მას ზედა გოლგოთას, რომელსაც ჩედა აღმართე ჭური (Опис., II, 801).

<sup>3)</sup> ორივე ტაძრის ზოგად, სერიათი აღმოსავლეთის მხრიდან გაღმოლებულია ივ. ჯავახიშვილის წიგნში — ქართველ ერის ისტორია, I<sup>2</sup>, ტფ. 1913, ტაბულა ad p. 244. ერმაკოვის ფოტოგრაფიის კოლექციიდან.



სურათების ტაბულები ამ წერილს რომ თან ახლავს, ფილმების და ფოტოების დანართების განვითარების მიზანის სამსახურის მიერ 1918 წლის შემოდგომაზე შეასრულეს სამოქალაქო ინჟენერებმა ნ. ვ. სევერი როგორც და აწ განსვენებულმა მ. ე. კერნ მა და სამ. სინდ. ინსტიტუტის სტუდენტმა ბ. ი. რიგაბოგმა. შენობები გაზიმდეს ხსნებულმა პირებმა საკუთარი სურვილით, ხოლო მათი ნაშენებარი კავკასიის საისტორიო და საარქეოლოგიო ინსტიტუტმა შეიძინა<sup>1</sup>. ხსნებულმა პირებმა ვერ შესძლეს ცველა დეტალის შესრულება, რადგანაც მუშაობის დროს სხვა-და-სხვა დაბრკოლების გამო ცუდ პირობებში იყვნენ ჩაყენებული. ეს ეხება განსაკუთრებით მცირე ტაძრის შენობებს. ამიტომ ჩემს მოვალეობად ვთვლი დიდი მაღლობა გადაუხადო ბ-ნ სევერი ვს, რომელმაც 1919 წლის დეკემბერში და 1920-ის აპრილში ჩემი თხოვნით ხელმოწერდ ვაზომა შენობათა ზოგიერთი ნაწილები და სათანადოდ შეასწორა ნახაზები<sup>2</sup>.

1) ინსტიტუტის მეცნიერ შევრთა 1919 წლის 22 ნოემბრის დადგენილების ძალით (ჭ 57) მე ვისარგებლე იმ ნახაზებით, რომელიც გუარამის ეკლესიას ეხება.

2) ამისი შესრულება შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ ამ წერილის დაშეტვა დაგვიანდა. მაგრამ რადგანაც ზოგიერთი ტაბულის კლიშე უკვი დამხადებული იყო, ამიტომ შესწორებათა შეტანა ყველა ტაბულაში ველარ მოხერხდა. მაგალითად, სამხრეთით მდებარე აკლდამის მიმართულება, უკვი საბოლოოდ გამორკვეული, აკლდამების გვეგმაში (ტაბულ. II) კი მოვალეარით რომ შეგვეტანა, მაგრამ განაკვეთებში (ტაბ. III და IV) დაახლოვებით ნაჩვენები დარჩა, რაც გამოხატულია პუნქტირის საშუალებით. ამგვარადვე დაგვრჩი რამოდენიმე ნაკლი ნახაზებში, სახელდობრ:

I ტაბულაზე: 1) არ არის შესწორებული საყდრის სამხრეთ აღმოსავლეთას კუთხე, რომელიც ძალიან არის სამხრეთისაკენ გაზიდული; 2) ჩრდილოეთის სტოას ჩრდილო-დასავლეთის კოლონას ჩამოატეს ნახაზზე დიამეტრი ნაკლები აქვა, ვიდრე სამხრეთ-დასავლეთის კოლონას, თუმცა ნამდელად კი ისინი ორნივე თანასწორები არიან (19 სანტიმ.); 3) არ არის ნაჩვენები არქა (კომარა) ჩრდილოეთის სტოას ჩრდილო კედელზე.

V ტაბულაზე: 1) სარკმლის ქვემო ნაწილი ნამდვილად ორ-საფეხურიანია, ნახაზზე ნათლად არა ჩინს; 2) კირის ტიპპანის სწორი ხაზი არ არის ნაჩვენები, და გამოდის, რომ ვითომოც კამარა ლა იყოს; 3) ხიყდარში შემთვლი მემის პარა საფეხური არ არის აღნიშნული.

I.

მცხეთის ჯვარის მცირე ტაძარი წარმოადგენს პატარა შენობას ჯვარის სახასას. კიდევებზე მას აქვს ორი სპეციალური სტოა. ტაძარი აღმართულია მაღალ კლდეზე მცხეთის სევტი-ცხოვლის აღმოსავლეთით. შელესის წინ აღმოსავლეთითა და სამხრეთით ფართო, ღია მოედანი იყო. ამ ფამილ ტაძრის სამხრეთით ღილი ტაძარია აღმართული და მხოლოდ აღმოსავლეთიდან შეიძლება თავისუფლად მისვლა. დასავლეთისა და ჩრდილოეთის მხრით შენობა კლდის ნაპირის დგას და მისი შემოვლი აქ მხოლოდ მცირეოდენ მანძილზე შეიძლება (1-2 მეტრის სიგანეზე).

ტაძარი აშენებულია დიდი ზომის ოთხკუთხი თლილის ქვით, რომელიც მწვანე ფერის სილაქვას წარმოადგენს. კედლები ერთიანად მთელ-მთელი ქვისაგან არის აშენებული. ახლა, მაგალითად, აღმოსავლეთის მხრით ზოგიერთ ადგილას ჩამონაგრულია გარე ქვები და ჩანს, რომ კედლები საზოგადოდ მთლიანი ყოფილა და ქვებს შეა სექლი კირი ყოფილა ჩატანებული. რაც შეეხება სხვა-და-სხვა რიგებს, ხშირად არ ჩანს, რომ მათ შორის შესაერთებულად კირი ყოფილიყოს ნახმარი, ესე იგი კედლები გარედან თითქმის მშრალად ნაშენები ჩანს<sup>1</sup>. ალაგ-ალაგ ქვების კიდევები ჩათლილია ისე, რომ წყობასა და წყობას შეა ღარი ისახება: ეს ჩვეულებრივი მოვლენაა კავკასიის ძელ შენობებში.

ტაძრის შიდა კედლების ზოგიერთ ქვას ახლაც ემჩნევა ქვის მთლელთა ნიშნები:



ტაძრის გარე კედლებმა ქარის მიერ გატრეცის გამო ვერ შეინარჩუნა ქვის მთლელთა ნიშნები. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ პირ-

<sup>1)</sup> ეს მოვლენა დამასიათებელია ატენის სიონის ძელი ნაწილებისათვისაც.



კელი სამი ნიშანი დად-ძალი გვხვდება და სხვა-და-სხვა პრინციპულური არის დაწყობილი კედლებზე. დანარჩენი კი მხოლოდ თითოჯერ გვხვდება: მეოთხე და მეხუთე ტაძრის შიგნით სამხრეთის კედლებზე, კარის დასავლეთით, ხოლო მეექვსე და მეშვიდე ჩრდილოეთის სტრას დასავლეთ ნაწილში (მეექვსე თაღში, ხოლო მეშვიდე დასავლეთის კედლებზე).

ტაძრი სტოებათური აშენებული იყო საგანგებო საძირკველზე, რომელიც აშოუგანილია ისეთივე ოთხკუთხი თლილის ქვებით, როგორც თვით ტაძრი. ზოგიერთ ადგილის საძირკვლის გარე კედლელი ოდნავ დახრილია. იგი სავსებით ღიაა დასავლეთის მხრით, ხოლო სამხრეთი-დან სრულიად დახურულია, რადგანაც აქ ის უკრთდება დიდი ტაძრის საძირკველს (ამ ეამაგ აღმოსავლეთის კუთხე კვლავ გარედ ჩანს). აღმოსავლეთით ეს საძირკველი შემდეგ მოუშენებით ისე, რომ ის საულიად დახურულია: მხოლოდ ჩრდილოეთით მიშენებული აფსიდის ჩანგრეულ იატკაში ნათლად ჩანს, თუ როგორ ყოფილა აშოუგანილი ტაძრის საძირკველზე შემდეგ მინაშენები კედელი, რადგანაც მათ შორის ნაპრალია<sup>1)</sup>.

რადგანაც იატკა ჩანგრეულია, ადგილად შეიძლება იმის დანახვაც, რომ ტაძრი მარტო ძირითადი ოთხკუთხედით კი არ ყოფილა შემოზღუდული; ის ჩრდილოეთით (და სამხრეთით) შესავალთან მისი საზღვრების იქით ყოფილა გაშეული. ამ გამოწეული ნაწილის საძირკველი ტაძრის ჩრდილოეთით შეერთებული ყოფილა თვით შენობასთან: ეს გარკვევით ჩანს ჩანგრეულ იატკიდან. თუმცა დიდი ცვლილება მომზარა სტრას ეკლესიად გადაკეთების დროს, მის საძირკველს რომ ათავებდენ, მაგრავ მაინც ზედმიშვევით შეიძლება განირჩეს, თუ სად გადიოდა სტრას სუბსტრუქციის ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხის ხაზი. სუბსტრუქციის ჩრდილოეთი ნაწილი უცვლელია.

ტაძრის სტრათ საძირკველი აღმოსავლეთიდან დასავლეთით სიგრძით არ უდრიდა ჭაძრისას. ამას ამტკიცებს ზემოთ განხილული ჩრდილოეთის საძირკველი. რომ შევადაროთ იგი სამხრეთისას, იმასვე დაფი-

<sup>1)</sup> ქვედა ნაწილის ეს დამატებითი მოსახულოვანი, ჩანს, საფეხურებიით ყოფ ლა და ამ შემთხვევაში შესძლებელი იგი შეეცერებოდეს იმას, რომ ტიდი ტაძრის იმპოსტიც საფეხურებიანია.



ნახავთ: ახლაც ტაძრის იატაკის სიმაღლეზე ასვლა ისე არ შეიძლება, თუ აღმოსავლეთის ფასადის ხაზიდან არ დაიხევთ. ჩრდილოეთის სტოა თავისი საძირკვლით დასავლეთითაც ვერ აღწევს ფასადის ხაზს, დაახლოებით იმავე მანძილზე, როგორც აღმოსავლეთით. სამხრეთიდან კი ის აღწევდა ტაძრის დასავლეთის ფასადის ხაზს.

ტაძრისა და სტოათა გარეგანი სუბსტრუქტია შეიცავს შიგნით აკლდამებს, ზაძრის ქვევით, სწორედ მისი შუა ნაწილის გასწორივ, ახლაც არის ორი მოგრძო ბინა; შესავალი მათ აქვთ დასავლეთით. ჩრდილოეთის სტოას ქვევით არის პატარა ბინა შესავლით (ჩრდილოეთით) და სარკმლით (დასავლეთით). აგრეთვე მოგრძო, მაგრამ ვერ ბინაა სამხრეთის სტოას ქვევით: ეს უკანასნელი ერთად ერთი ბინაა, რომელიც უცვლელად არის დაცული. ის შიგნიდან არის გამოყვანილი ისეთივე ქვებით, როგორითაც თვით ტაძარია აშენებული. დასავლეთით ეს აკლდამა ვერ აღწევს გარე კედელს, რომელიც იმავე ხაზზეა, რომელზედაც ტაძრის დასავლეთის ფასადი, ხოლო ცოტა აღმოსავლეთით მას აქვს საკუთარი კედელი პატარა სარკმლით, საიდანაც შეიძლება აკლდამაში შესვლა. ეს სარკმელი ოთხკუთხია და მის თავზე ამოკრილია სწორი ადგილი ქვისათვის, რომლითაც ეს სარკმელი იხსურებოდა. აკლდამის ქერი ბრტყელია და გრძელი თლილი ქვებისაგან შესდგება; ქვები აკლდამის გარდა-გარდა არის დაწყობილი. დასავლეთით სამხრეთ აკლდამის დახურულ გასავალში ამოყვანილია პატარა, ოთხკუთხი, ოდნავ მოგრძო ოთახი, რომელიც ძელებით არის სავსე; დასავლეთით მას აქვს სარკმელი, რომელიც ამოშენებულია და გარედან კიბით არის დაფარული, და ბრტყელი ქერი, რომელიც ერთ დიდი ქვის ლოდს წარმოდგენს<sup>1</sup>.

როგორც ვთქვით, მხოლოდ ეს სამხრეთის აკლდამა არის უცვლელად დაცული; დანარჩენი სამი კი გალესილია ისე, რომ მათ პირვანდლე სახეზე არაფრის თქმა არ შეიძლება. სიმიევში ქერი კამარისებურია და ძალიან უსწორ-მასწორო. ორივე ბინას, ტაძრის ქვევით რომ არის, საკუთარი შესავალი აქვს დასავლეთით, ხოლო იმ ბინის შესავალი, უფრო ჩრდილოეთით რომ არის, ქვევით არის გაჭრილი იატაკზე ოდნავ დაბლა:

<sup>1)</sup> იმ ოთახის სამხრეთი კედელი დასავლეთისას ეყრდნობა, თუმცა იმ გვარადვე კარგად არის ნაშენები.



ბატაკი კი სამშეცე ერთ სიმაღლეზეა. ჩრდილოეთი წყლის მიერთ აქვთ აქვთ ჩრდილოეთით, ხოლო დასავლეთით — სარქმელი. სამშეცე აკლდამის უკელა სარქმელი შემდეგ არის გაქრილი. ჩანს სამშეცე აკლდამა თავში დაყრუებული ყოფილა ისევე. როგორც უკიდურესი სამხრეთი და მა-შესადამე მუდმივი ღია გასხვალი არც არსებობდა. ახლანდელი კარები, ალბათ, ძველი დაყრუებული გასავლის ადგილის გასტრეს; ჩრდილოეთის აკლდამის სარქმელი კი ჩვენის აზრით ახლად არის გაქრილი. შეუ აკლდამებში უკელაზე სამხრეთით მდებარე მთლად არ არის გაღე სილი, ამიტომაც შესაძლებელი ხდება, რამდენადაც ქვათ წყობა ჩანს აგებულების ხასიათის გავება: ქვები სისწორით არ არის გათლილი და შედარებით ტაძრის წყობასთან, უფრო ნაკლები ზომისაა. ტაძრის ჯვა-რისებური ნაწილის გასწვრივ ზევით მდებარე ორმაგი აკლდამის ახლა-ნდელი შეუ კედელი თანასწორ ნაწილებად არ ჰყოფს აკლდამას. ეს ალბათ იმით აისწენება, რომ შემდეგ ხანებში იგი მხოლოდ ჩრდილოეთით გაიწია; ამ კედელს უთუოდ იმ თავითვე ეყრდნობოდა ქვრის ბრტყელი ლოდები.

აღნიშნულ სუბსტრუქციაზე აგებული იყო თვით ტაძარი და მისი ორივე შესავალი: სამხრეთისა და ჩრდილოეთისა. როგორც შევით იყო მოხსენებული, დარჩენილი ნაწილების საძირკველზე ეტყობა, რომ ტა-ძარი გეგმაში ჯვრის სახისა იყო და ჩრდილოეთისა და სამხრეთის შტოები კვლევისის შესავალთა პირდაპირ ხვდებოდა. გაცილებით უფრო ძნელია იმის გამორკვევა, თუ რა იყო ამ შტოებს ზევით, ე. ი. რა იყო შესავლების წინ. შენობის ეს ნაწილები ძალიან ცუდად არის დაცული — ნაწილი გადაკეთებულია, ნაწილი კიდევ სულ მთლად და-ნგრეული. სამხრეთის სტოა ხელახლად არის ამოყვანილი: ის ხომ აერ-თებდა მცირე ტაძარს მის გვერდით (კუთხეში და არა პარალელურად) აღმართულ დიდ ტაძართან. ამ ჩიგად სტოა ოთხკუთხებს კი არ წარმოადგენს, არამედ იგი გეგმაში ტრაპეციისებურია. მისი კამარა ჯვარისებურია, რაც იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ ახალი სტოა აგებულია სწორედ დიდი ტაძრის დამთავრების შემდეგ. ამ გასხვალს უკ-ვრის დასავლეთით შენობა, რომელსაც სამხრეთით აქვს გასხვალი, ხოლო დასავლეთით სარქმელი: ადგილ-ადგილ იგი დანგრეულია და იმავე დროის არავითარი ნიშანდობლივი თვისება არა აქვს, რომ შესაძლებელი ვა-



მცხეთის ჯვარის მცირე ტაძარი.

ერთობლივი  
გიგანტური და

ზღვის ინის გამორკვევა, თუ როდის არის იგი აშენებული. შეიძლება როი რამ ვიფრქროთ: ერთი ისა, რომ ეს ნაწილი სტოისა და აგრეთვე უმეტესი ნაწილი კამარისა, რომელიც მიიმართება პატარა ეკლესის შესავლის დასავლეთის წყვილი კოლონებიდან დიდი ეკლესის შესავლის დასავლეთისავე წყვილი კოლონისაკენ, ჩაეთვალოთ პირვენდელი სამხრეთის შტოის ნაშთად<sup>1</sup>. ამისი მაჩვენებელი იქნებოდა ის გარემოება. რომ გარე სამხრეთი კედელი ამ სტოის პარალელურად არის ამოუკანილი და აგრეთვე ისიც, რომ შენობის ამ ნაწილის თაღი, რომელი საგანიც მხოლოდ ძირილა დარჩენილი, ეყრდნობა ეკლესის კედელს. ამ შემთხვევაში სტოის მთელი დასავლეთი კედელი (ზეძირკველს ჰე-მოთ), რომელიც მიშენებულია ეკლესის დასავლეთ კედელზე,—და არა შეშენებული<sup>2</sup>, —წარმოადგენს შენგბის პროცესში პირვენდელი გან-ზრაბულის შეცვლას, შეცვლას დიდი კამარისას<sup>3</sup>. შეორე ის შეიძლება ვიფრქროთ, რომ სტოის ეს ნაწილი აშენებულია შემდეგში, როცა ავტობული ყოფილა იქვე გვერდით დიდი ტაძარი. ამ შემთხვევაში კი კუთხეში, სტოის იქით, თავდაპირველად ტერასა იქნებოდა<sup>4</sup>.

გაცილებით უკეთ არის დაცული ჩრდილოეთის სტოა, თუმცა ისიც, როგორც უკვე ვთქვით, საგრძნობლად არის გადასხვაფერებული იმის გამო, რომ შეს აღმოსავლეთით აფსიდა მიაშენეს და ამ რიგად იგი სა-კუთრივ მინაშენად (ყველერად) აქციეს: აფსიდა მიშენებულია ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში (რაც აღმოსავლეთის ფასალიდან ჩანს)<sup>5</sup>. ამისათვის საჭირო განდა სავანგებო თაღზე მიეყრდნოთ მინაშენის კა-მარა; ეს თაღი ტაძრის ჩრდილოეთ კედელზეა გამოყვანილი. თაღი

<sup>1)</sup> შემდეგში ამ კამარის ქვეშ ამოუკანიათ კედელი, რომელიც ჰეთარავდა პატარა ეკლესის შესავლის ჩუქურთმიან კაპიტლებს, რომლებიც ამის გამო კარგად არის შენახული.

<sup>2)</sup> ამ კედლის სარქმელი ახლა ამოშენებულია.

<sup>3)</sup> ამ გვარივე მოვლენა (წინად განზრაბულის მერმე შეცვლა) მინახავს კახეთში, კახოუბნის ხევში, «ყველა წმინდისა ტაძარში, გურჯაანს ახლო.

<sup>4)</sup> ტერასა ყოფილა აგრეთვე გურჯაანის «ყველა წმინდა-შიც პატრიო-კეთა შესავლის წინ დასავლეთით.

<sup>5)</sup> აქ შევით, ფასალში არის პირვენდელი თაღის ქვა: უთუოდ შემთხვე-ვით არის ძველი ქვა გამოყენებული საშენებლად.



თავისი მხრით ერთი თავით შესავლის კოლონის ეყრდნობაში მოხვევა  
კი აფსიდაში თავდება კონსოლის შეგაესად. ეს თაღი უსწორ-მასწოროა  
(აღმოსავლეთის თავი დასავლეთისაზე დაბალია) და იმ თაღზე უფრო  
დიდია, ტაძრის შესავალზე რომ არის გადაჭიმული<sup>2</sup>. ახლად აგებული  
მინაშენის სამხრეთი კედელივით აშენებული იყო, როგორც ეს ჩანს  
დაცული ნაშთებიდან, ჩრდილოეთის კედელიც. ხოლო კოლონები აქ  
კედლების ბაზის გარედ იდგა და ამიტომ შემდეგ გაკეთებული სამხრეთ-  
აღმოსავლეთის დიდი თაღის პირდაპირ გაუკეთებით ჩრდილო-აღმო-  
სავლეთის თაღი უფრო მცირე სიმრგვლისა და მიუმაგრებით პირვენ-  
დელი სტოის თავისებურ პილასტრის<sup>3</sup> (იხ. გვევ). ამას გარდა აფსიდალურ  
ნახულში საკირო გახდა იატაკის გაკეთება იმავე სიმაღლეზე, რომელზე-  
დაც სტოის იატაკია და იატაკს ქვეშ დარჩია ცარიელი სივრცე, ხადაც  
ემჩნევა სწორედ ტაძრისა და სტოის სუბსტრუქციის ის ფორმა, რაზე-  
დაც ზემოთ იყო მოხსენებული. თვით ტაძრის შესავალი კოლონებით  
და საგანგებო თაღით არის შემოჩარჩული. ზემოსხენებული თაღი შემ-  
დევ გადაკეთების დროს სწორედ აღმოსავლეთის კოლონიაზე იყო და-  
ცურდნობილი. ამ ორი კოლონის წინ ჩრდილოეთით იდგა მეორე წყვი-  
ლი კოლონებისა. ამთვან ჩრდილო-დასავლეთისა დაცულია დღევან-  
დლამდე, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთიდან თავის აღვილის მხოლოდ  
ბაზისი. ამ რიგად ჩრდილოეთის შესავლის პირდაპირ თითქმის სწორ  
კვადრატს ჰქმნის ოთხი დიდი კოლონა (თითო 19 cm. დიამეტრში)  
თავისი ბაზისებითა და თავებით. სამწუხაროდ არ არის დაცული ამ კვა-  
დრატში კამარა, თუმცა, რომ შევადაროთ მისი სამარტ-დასავლეთის  
ქუსლის ქვის მეტად გამოფიტული ფორმები, შესაძლებელია იმის თქმა.  
რომ კამარა ჯვარისებური იყო, რაც თეორიულად, რასაკეირეველია, ბუ-  
ნებრივია. სტოის კვადრატს დასავლეთით უერთდება პატარა სივრცე,  
რომელიც შემოზღუდულია კედლებით და გადახურულია სტოის კო-  
ლონდრული კამარით, რომელიც პერპენდიკულარად არის მიმართული.  
ამ სივრცის დასავლეთ კედლებში არის დაბალი დაშეებული სარტყელი,  
საიდანაც ნათლად ჩანს არაგვისა და მტკვრის შესართავი და ქ. მცხეთა.  
ამ სივრცის დასავლეთის კედელზე და კამარაზე ისეთივე ქვის მთლელია

<sup>1)</sup> ამისათვის შესავლის თაღის თავის ნაწილი გადათლილია.

<sup>2)</sup> იხ. ნახაზი VI.



ნიშნებია, რაც თვით ტაძარში: ზემოთ მოყვანილი ნიშნულით გულის სამი პირველი და გარდა ამისა ორი უკანასკნელი, რომელიც მხოლოდ აქ გვხვდება. პირვანდელ სტოას, ჩანს, ისეთივე აგებულება ჰქონდა შეს კვადრატის აღმოსავლეთით, როგორც დასავლეთით, რაღაცაც სუბსტრუქცია აქ თანაბარ სივრცეში გამოწეული. რადგან აქედან არ არის დაცული კიბე და პირიქით ნაშენებია გულდადებით, აქედან ცხადია, რომ ასავალი მოწყობილი იყო პირაპირ ჩრდილოეთიდან ორივე კოლონას შეს ფართოდ გახსნილ სივრცეში. ეს სივრცე ბოლომდე დაუზრუებელი დარჩა და შენობის გადაკეთების დროსაც ხელი არ უხლიათ.

მშასადამე ჩრდილოეთის სტოას ფორმა საესტილ ირკვევა და აჩვენილი მასალიდან. რაც შეეხდა სამხრეთის სტოას, საჭიროა მისი აღდგენა ჩრდილოეთის ანალოგიით იმ მთავარი განსხვავებით, რომ სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში სტოა უწევდა ეკლესიის დასავლეთის ფასდის ხაზამდე. ან არადა აქ ღია ტერასა იყო. ეს აზრი სამხრეთის სტოას ხევრთო ფორმების მსგავსებისა ჩრდილოეთისასთან მშეკიცდება არსებული ნაშთებით. შესავალი შემოჩარჩულია კოლონებით, რომელთაც თაღი ჰქონდება; ტაძრის კედლები იმ ნაწილებში, სადაც მას უერთდება სტოას აღმოსავლეთი და დასავლეთი შეერტები, უფრო სქელია მისივე სიმაღლეში და ტაძრის გარე კედლის აღმოსავლეთ ნაწილში ახლა განკინია; და მის ზევით ტაძრის კედელი უფრო თხელია. დასავლეთ ნაწილში სტოას (ჩრდილოეთი) კედელი დაცულია კამარის ერთი თავითურთ, მაგრამ ახლა ის აღწევს ტაძრის დასავლეთის ფასდის ხაზს, სადაც ის გარედ ტაძარს არის მიყრდნობილი. მე ვთიქრობ, რომ—როგორც ზემოთ აღნიშნულია—აქ ან დიდი ტაძრის აკების შემდეგ იძულებული იყვნენ გაეტეხათ სტოას დასავლეთი კედლები და მთლიად დასავლეთით გამოეწიათ იყი, რათა გაეკეთებინათ გასავალი სტოადან დიდი ტაძრის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში; და ამ დროს გამოტეხილი უნდა იყოს ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედლების კუთხეში გადახლართული ცალკე ქვები, რის გამოც ამ აღვილას კედლებში მინაშენის ხაზი აღარ დარჩა<sup>1)</sup>. თუ—ამ შემთხვევაში—დასავლეთის კედლებს იქით ღია ტერასა იყო, აღმად კედლებში იყო კარი და არა ფანჯარა, ისიც

<sup>1)</sup> შეად. სტოას სუბსტრუქციის ჩრდილო ფასდის ანალოგიური ხლართი.



ძალიან ფართო. ტერასის ბარიერი, როგორც ჩანს, მაღალი და მაღალი აუქსელი აუქსელის. ის უდრიდა სტოის ზეძირებულს (ესე იგი არა უმაღლეს ნახევრობი მეტრისა). ეს არის ერთი შესაძლო რეკონსტრუქცია სამხრეთის სტოის დასავლეთის ნაწილის ფორმისა. ხოლო უფრო პერისტან ახლო იქნება ვიუიქროთ, რომ ახლანდელი ოთხკუთხი, რომელსაც დასავლეთით ფანჯარა ჰქონებია, მაგრამ შემდეგში ამოუშენებიათ, და რომელსაც სამხრეთით კარი ჰქონდა და თავზე კი ცილინდრული თაღი ეხურა, ნაშთია პირვანდელი შენობისა.

რაც შეეხება ტაძრის ახლანდელ მდგომარეობას გარდა ახლა აღნიშვნული გადაკეთებისა, ის გარედან საგრძნობლადაც უნდა იყოს დანგრეული, რადგან სილაქება გამოფიტულია: ეს უკანასკნელი ბუნებრივი პროცესების თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს. ამას გარდა აღმოსავლეთის მხრით მრავალი ქვა გადმონგრეულია. ტაძრის შეზღუდვის კამარა, უნდა ვითიქროთ, დიდი ხანი არა რაც ჩამონაგრეულია, რადგანაც შეგნით ტაძრი კარგად არის დაცული.

გარედან ჩვენი ტაძრი, როგორც ეს დარჩენილი ნაშებიდან ჩანს, ოთხკუთხედის წარმოადგენდა და მისი სახურავი ადვილი შესაძლებელია ორ-გვერდიანი იყო, რასაც სავსებით ეთანაბმება ფრონტონი დამთავრებული მისი აღმოსავლეთის და დასავლეთის კედლები. აღმოსავლეთის ფასადს სწორი კედლელი აქვს, ესე იგი იფიციის ნახევარ-სიმრველე გარედ არ არის გამოშეერილი; ის გარე ოთხკუთხედშია ჩამალული და ამგვარად ტაძრის შენობის განუყოფელ ნაწილს შეადგენს.

თუ თავისი მასით ტაძრი სტოათა წყალობით გარედან ერთგვარ დანაწევრებულ ერთეულს წარმოადგენდა, სამაგიეროდ გევგმაში იგი შედარებით უფრო დამთავრებული და განვითარებულია და გარკვეულ სისტემას იძლევა. მისი გევგმა ჯვარის სახისაა, ესე იგი ჩვენ გვაქვს ტაძრის ცენტრალური ნაწილი, სხვა ნაწილებშე უფრო მაღალი კვადრატი, რომელიც ამასთანავე გადახურულია ჯვარისებური კამარით. ამ უამდე კამარა ჩამონაგრეულია, მაგრამ მაინც ჩანს მისი საკედების თავები და მთლიანი ლოდები ჯვარისებური კამარის წიბოთურთ, რომლებიც საძირკველთან არის კუთხებში დარჩენილი. ამ შუალული ნაწილიდან იშლება კვადრატის შესატყისი გვერდების პერპენდიკულარად ცილინდრული კამარით გადახურული შტოები. აღმოსავლეთისა და დასავლე-



თას შტოები სხვებზე უფრო ვრძელია. მას გარდა აღმუსავლერუსუმენე ეგრედ წოდებულ ბეჭას უერთდება გეგმაში ნახევრად-მრგვალი აფსიდა ზევით კონქით.

ჯვარისებური კამარა, შტოთა ცილინდრული კამარები და აგრეთვე აფსიდის მთავარი თალი ეყრდნობა სავანგებოდ გამოყენილ ქუსლებს, რომელიც ცოტაოდნად პროფილურია, მაგრამ ძალიან გამოფიტული. ოთხსავე თალს, ჯვარისებურ კამარას რომ არტყია, ძირში მთლიანი ქვები აქვს თითეული წყვილისაფვის, რაც მეტად მთლიან შთაბეჭილებას ჰქმნის: თალები თითქმის ერთი პუნქტიდან გამოდის და თან-და-თან ფართოვდება და ძლიერდება. ხოლო საკურთხევლის აფსიდისათვის, რომლის რადიუსი ნაკლებია შტოის განის ნახევარზე, თავის თავად კხალია გამოყენილია მთელი თალი, რომლის მთელ-მთელი ქვები ქუსლამდე ჩანს.

რაბარში ორი სარკმელია, აღმოსავლეთით და დასავლეთით, და ორი შესავალი, სამხრეთითა და ჩრდილოეთით. მათი თალები სავანგით არის აღნიშნული თევზ ქვათა წყობის სახით. სარკმლები ღილა; დიდია აგრეთვე კარებიც. სარკმელთა გარევანი ფორმა ძალზე შეცვლილია. ხოლო მესამე ტაბულაზე მათი პირვენდელი მოყვანილობა კმდლების გარე სიბრტყეზე პუნქტირით არის აღნიშნული. დასავლეთის სარკმლს, როგორც ჩანს, რაფა ჰქონდა თავისი სავანგურითურთ<sup>1)</sup>. შემდეგ სარკმლის ქვემო ნაწილი ამოაუშენებიათ და შეულესიათ, რისი ნიშნები ახლაც არის უაცული. ორივე შესავალი გარედან, როგორც უკვე შოსხენებული იყო, მორთულია კოლონებით, რომელთაც თალი აქვს დაგმული და მის ქვეშ დიდი ტამბანია. ჩრდილო შესავლის სამკაული იმ გვარად არის დაცული, რომ მხოლოდ მის ხუროთმოძღვრულ თვისებაზე შეიძლება ლაპარაკი და არა დეკორატიულ დეტალებზე. იქვე იღვა მაღალ ბაზისზე, რომელიც შედგებოდა კვადრატისა და ლვილისაგან, საქმაოდ მყვრივი სკეტჩები, თითო-თითო ორივე შერით; კოლონები ზევით თაკლებოდა ბირთვისებური თავებით პარარა თარითი ზემოთ<sup>2)</sup>. ამ სტოის სამ კოლონაში—ჩრდილო-დასავლეთისას კაპიტელ-

<sup>1)</sup> ანალოგიურად არის მოწყობილი წრომისა და ატენის ტაძრების სარკმლები.

<sup>2)</sup> იხ. ტაბულები გვ.-IV და გვ.-VI.



ზე კალათისებური წნულობის ნიშნები აქვს, ჩრდილოეთი მთების მიმდევალი თის კალონის ბაზისზე კი კანელურების ნიშნები<sup>1</sup>. სამხრეთის ჟენერალი შემოსის წლის წყვილ-წყვილი კოლონებით; დასავლეთის წყვილზე კარგად არის დაცული კაპიტლები, რომელიც არი ბირთვისაგან შესდგება და შეუზე ერტიყალური ზოლი ჩამოუდის; მათ ზევით კი დევ პატარა თაროა, მცენარეული ორნამენტით შემკული<sup>2</sup>. მათი ბაზისია ლეილი. მაგრამ ამავე შესავლის აღმოსავლეთის კოლონებს დროისა და ატმოსფერის გავლენის გამო მთლად დაუკარგავთ თავისი სამკაული.

დასავლეთის კედელში, ტაძრის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, გამოყვნილია წალო: ის ოთხუთხია გეგმით და ცილინდრული კამარა აქვს<sup>3</sup>. წალოს წინ ერტყმის გამოწყეული კოლონა და ზემოთ სალებინებლისებრი კამარაა. თაღი ეყრდნობა ჩრდილოეთ კედლის ჭუსლს, რომელიც ორნავ ჩანს, და პატარა კოლონას, რომლის თვეიც ბირთვისებურია: ამის ზევით გადებულია პატარა თარო, ხოლო ქვევით სამი წყება სხვა-და-სხვა სისქის ლვილებისა. კოლონა და კაპიტლი გაჟალაშინებულია; იგი კარგად არის დაცული და ზედ არ ყოფილა გამოკრილი ორნამენტები. წალოს უკანა კედელზე ერთ-ერთ დიდ ქვაზე გამოქანდაკებული ყოფილა განედლებული ჯვარი, რომელიც ამ გამაღვიურებულია. ამას ხელი შეუწყო აღბათ იმ გარემოებამ, რომ ჯვარი ოდესლაც გალესილი ყოფილა<sup>4</sup>. ეს წალო, უნდა ვიტიქროთ, საქართველოს კათალიკოზის საპატიო აღგილს წარმოადგენდა.

სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლების აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებში პატარა-პატარა წალოებია გამოყვანილი, სულ ოთხი<sup>5</sup>.

<sup>1)</sup> ამგვარივე სამკაული გვაქვს ჩვენ შემდეგ ხანებში ატენის სიონის სამხრეთ შესავლის თავებზე.

<sup>2)</sup> ტაბულა მე-VII, შეად. აგრეთვე მე-IV.

<sup>3)</sup> ტაბულა მე-IV და მე-VII. (უნივერსიტეტის საფორმოგრაფიი კაბინეტში მოიპოვება რამოდენიმე სურათი ამ წალოსი).

<sup>4)</sup> ჩუქურთმის ამონაქერი აღგილები ალაგ-ალაგ გაჯით არის ამოვსებული.

<sup>5)</sup> ტაბულა I.



ყველა თოხუუთხია, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთის წალენ, ზექაზე მაგის არის, კიდევ გრძელება აღმოსავლეთის მიმართულებით აფსიდის კედლის სიღრმეში. როგორც დარჩენილი ნარიმანდიდან ჩანს, ეს გაგრძელება სავანვებო ქვით იხურებოდა<sup>1</sup> და უსიველია ის „სალაროს საიდუმლო აღგილს წარმოადგნდა. ამ გაგრძელებას, რომელიც აგრეთვე თოხუუთხია და პარველ წალოზე უფრო მაღალი, მრგვალი გასავალი აქვს: იგი შესდგება ქვევრის ზემო ნაწილიდან, რომელიც აქ არის ჩაკეთებული.

საკურთხეველი ბემითურთ ტაბრის დანარჩენ ნაწილებთან შედარებით ერთი საფეხურით უფრო მაღალია. ეს ამაღლებული აღგილი ახლა ტაბარში იარავის უქონლობის გამო უფრო დიდად ჩანს, ვიდრე ეს უნდა ყოფილიყო თავდაპირველად, სახელდობრ ნახევარ-არშინზე<sup>2</sup>.

ტრაპეზი მთლიანი ქვაა და მთლიან ქვაზედვა დაყრდნობილი, რომელსაც თხი ფეხი აქვს. ტრაპეზი კედლებზე მიყრდნობილი, ე. ი. იგი უძრავია<sup>3</sup>.

აფსიდის კონქი—შეოლოდ კინჭი სოფიის კენჭით ყოფილი შემკული—და ამისი ნაშთი ახლაც არის დაცული in situ, ხოლო კუბიკები ილარიონ ბერმა მოაგროვა და ტფილისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს გადმოსცა 1914 წელს<sup>4</sup>. მოზაოკის ნატები ბელუხლებელი დარჩა ჩრდილოეთ კუთხეში კონქის თაღის წინა მხარეს. ამას გარდა დარჩენილია გაჯი თაღის ზენითის ცორა ჩრდილოეთით,—შესაძლებელია ესეც მოზაოკისათვის იყოს, თუმცა

1) ამგვარადვეა გაკითებული ნაპირის მდებარე სამხრეთის აკლდამის შესავალი.

2) შეად. ტაბულა მე-III.

3) შეად. ტაბულა მე-III და მე-V.

4) ბერმა მითხრა მე ეს 1916 წლის შემოდგომაზე და გარკვევით აღნიშნა, რომ ეს კუბიკები მან მცირე ტაბარში შეკრიბა. ამას მე ხაზგასმათ აღნიშნავ, რადგანაც საზოგადოების ინკურტარში 1914 წელს სწერია მთლილ შემდეგი ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს 'ხელით: «N 1649. თია სოფიის კენჭები ჯვარის მონასტრიდან ჩამოტანილი, რომლითაც მტკიცდება. რომ ეს მონასტრერი ძველად მოხატული ყოფილა ათა სოფიის კენჭით».

საქართველო  
მისამართი



ეკანას კნელის კვალს აქ მე ვერ მივაგენი<sup>1</sup>. ზოგიერთ ქაუზულებულება მოხაიკისათვის გაკეთებული სქელი ნაკეპნები<sup>2</sup>. ნაკეპნი მოიპოვება მხოლოდ ზოგიერთ კარგად შენახულ ქვაზე, სახელდობრ კონქის ორ-თავე ჩრდილოეთ ქვაზე, კიდეზე რომ არის. კონქის ქვების მეტი წილი კი ძალიან დაზიანებულა დროთა სრბოლაში და გარე ნაწილები ჩა-მოსცენიათ; ამიტომ მათზე რასაკირეველია ნაკეპნები აღარ არის დაცული. ეჭვს გარეშეა, რომ მოხაიკა ჰუარავდა აფხილის კონქს და თაღის ვერტიკალურ ზედაპირს; ამას გარდა ტაძარზე არავითარი მხა-ტვრობა არ ყოფილა.

მოხაიკის კუბიკები, მუზეუმში რომ არის დაცული, წარმოადგენს ოქროსას და სხვა-და-სხვა ფერის ქაშანურს და აგრეთვე რაღაც სრუ-ლიად ცერთალ ცომს, რომელიც წყალს ისეამს<sup>3</sup> და რომელისაც ზეთის ხილისა და მოთეთრო ფერი გადაპქრავს. მა ცომს აკვარელის წამლები აქვს წასმული, წითელი, ორ-ტონიანი. ამას გარდა ნაპოვნია კენჭები და ორი მთის ბროლი, რომელიც, შესაძლებელია, მოხაიკის კუბიკე-ბად იყო გამოყენებული. ფერების მიხედვით არის კუბიკები წითელი, ტანის ფერი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი სხვა-და-სხვა ტონისა, დასა-სრულ ზევი და თეთრი. ოქროს ფერ კუბიკებს, რომელთა რიცხვი სხვებს აღმარება, შეუშის ძირი აქვს, ნირ-ნაირი ტონისა.

## II.

ზემო აღწერილ ტაძარს თავისი გეგმითა და დამახასიათებელი დე-ტალებით განსაკუთრებული ადგილი უკირავს. მემატიანეთი ცნობების მიხედვით შეიძლება განსაზღვრულ იქმნეს მისი აშენების დროც. კართ-

<sup>1)</sup> იბ. ტაბულა მე-III, სადაც მრივე ადგილი წახაზვით არის აღნიშნული.

<sup>2)</sup> ტაბულა III. ქართველი საერთოდ ისეთივე ხასიათისაა, როგორც წრომის ტაძრის მოხაიკის კენჭები.

<sup>3)</sup> ივივე იღნიშხა დ. გორ დეეჭმა წრომის ტაძრის მოხაიკის შესახებ (Браткій отчетъ о командировкахъ въ Кахію и Горїцкій уездъ лѣтомъ 1917 года: Извѣстія Кавк. отд. Моск. Археологическаго общества, вып. V, Тифлісъ 1919, стр. 33).



## მცხეთის ჯვარის მცირე ტაძარი.

ეროვნული  
გამზღვიურება

ლის მოქცევის სიტყვით გუაჩამ ერისთავმა (შემდეგ კურაპალატმა) დადგა საფუძველი პატარასისა ჭუარისა. დადგი საფუძველი იო რომ არის, მემატიანეს უთუოდ იმის თქმა სურდა, რომ გუაჩამმა დიდი კულტურული საქმე გააკეთა და სწორედ ასცე გაიგო მე-XI საუკ. ისტორიულისა ჯუანშერ ჯუანშერიანმა, რაღანაც მან ეყსტათი მცხეთლის უბრავრებიდან მოყვანილ სიტყვებს განმარტება დაურთო: აქმომდევნები გეგმა ზედა ით. მა რიგად მცხეთის ჯვრის ტაძარი აგებულია მეუბნის მოსპობის შემდეგ (VI საუკ. დასაწყისში), როდესაც იქნედობოდა ახალი სახელმწიფო წეს-წყობილება. მემატიანის ცნობა საესებით ეთანხმება ტაძრის მხატვრული ანალიზით შედეგებს, მის ხელოვნებასა და ხუროთმოძღვრებას.

პირველ ყოვლისა ჩვენ შევჩერდებით იმ ტეხნიკურ წესებზე, რომელიც მიღებულია კავკასიის საქრისტიანო ხუროთმოძღვრებაში.

მცირე ტაძრის კედლებზე ჩვენ გვხვდება სხვა-და-სხვა ადგილის კვისმთლელთა ნიშნები, ესე იგი ის დათქმული ნიშნები, რომელიც კვისმთლელი მის მიერ გათლილ ქვის უკეთებდა. ასეთი ნიშნები აქვს: მცხეთის ჯვრის დიდ ტაძარს, არენის სიონს, მარტვილისა და წრომის ტაძარს, აგრეთვე სომხეთში ქ. მრენის ნანგრევებში აგებულ ტაძარს. ამაგან, რომელიც კი დათარიღებულია, ყველა მე-VII საუკუნის პირველ ჩაპერას ეკუთნის; უფრო გვიან აგებულთ ქვისმთლელთა ნიშნები არა აქვს. სხვათა შორის მცირე ტაძარზე აღორილი სამი პარველი ნიშანი გვხვდება ჩვენ აგრეთვე მცხეთის ჯვრის დიდ ტაძარზე, ხოლო ორი პირველი არენის სიონშედაც.

შენობის მეორე ნიშანლობლივი თვისება, აქა-იქ აღნიშნული ტაძარზე, ეგრეთ წოდებული ფასი (фаски), გვხვდება აგრეთვე ზემოთ ჩამოთვლილ ტაძრებზე. ეს ქვების კიდეთა თავისებურად გამოყვანას ჩიშნავს; საქართველოსა და სომხეთის შენობებში ასეთი ჩამოთლა ხაზვასმით აღნიშნავს ხოლმე ნაკერს ქვასა და ქვის შეა.

რაც შეეხება ტაძრის გეგმას, იგი ჯვრისაა<sup>1</sup>. გეგმის ცენტრალურ

<sup>1)</sup> ამ შერილის დაწერის შემდეგ მე საშუალება მოვეცა გაფსუნობოდა პროფ. იოსებ სტრიგოვსკის გმოკვლევას სომხეთი ხუროთმოძღვრების შესახებ (Strzygowski, Die Baukunst der Armenier und Europa, 2 Bände, Wien 1918). აქ მოთავსებულია (გვ. 86) მცხეთის ჯვრის ორთავე ეკლესიის



კვადრატს გადახურული ჰქონდა ჯვარისებური კამარა, მრიწყებაშიც უკავშირდებოდა — უკავშირდების კამარა, პერპენდიკულარიად მიმართული კვადრატის შესატყვის გვერდებთან. აღმოსავლეთისა და დასავლეთის შუალები ცოტა უფრო გრძელია, ვიდრე სამხრეთისა და ჩრდილოეთისა. ეს დანაწევრებული სივრცე (აღმოსავლეთით არის კიდევ ნახევრად მრგვალი აფსიდა) გარედან ჩასმულია მოგრძო თხელებულებით ფრინვლონებით აღმოსავლეთით და დასავლეთით, ესე იგი მას უნდა ჰქონდებოდა ორგვერდიანი სახურავი.

გარედან შენობას ჯვარის სახე აქვს მიუწმული დიდი სტოების საშუალებით, რომელიც სამხრეთისა და ჩრდილოეთის ფასადების შეზღუდვისა და დაფარვისა დაგმულია. ეს სტოები მხოლოდ ცოტათი ფრთხილი აღწევს ტაძრის სახურავს; ხოლო რადგან ისინი საკმაოდ გაგრძელებულია, საუცხოოდ შეეფერებოდა თვით ტაძარს და მასათა დამთავრებულ ანსამბლს წარმოადგენდა.

რაც შეეხება ტაძრის კონსტრუქციის თვისებათ, პირველ ყოვლისა ჩვენ უნდა შევჩერდეთ ჯვარისებურ კამარაზე<sup>1</sup>. ჩვენში და სომხეთში ძალიან ცოტაა შენობები, ჯვარისებური კამარით რომ იყოს დახურული (სურათი 72), რომელიც დღიურას ტექსტის მიხედვით (იბ. გვ. 24, მძასი აქტომბრის დღიური), ზესრულებული უნდა იყოს D-r Glück-ისა და ლონ ლისიციანის მიერ. მცირე ტაძრის გეგმაში რამდენიმე ნაკლია, კერძოდ ძალიან ცუდად არის წარმოდგენილი მცირისა და დიდი ტაძრის შეერთება. შეცომებს ცხ. დად დაინახავს კაცი, თუ შევადარებთ მის გეგმას აქვთ დართულ I ტაძლილსათან.

ასანიშნავია კიდევ, რომ საზოგადო გეგმა მცირე ტაძრისა მოყვანილი აქვს ავრეთვე M. Scherwinsky-ს (Die Baukunst der Georgier, in: Allgemeine Bauzeitung 1891, Heft 3-4, Tafel 18, Abb. 3).

<sup>1)</sup> J. Strzygowski (l. c. S. 310) თავის თანამშრომლების მიერ მაწოდებულ ცონბათა მიხედვით პლიქრობდა, რომ ექვემდებარებოდა უნდა ყოფილიყო. მას მოჰყავს (სურ. 347, გვ. 310) კუთხის სურათი, როგორც მაგლითი სისტორიის გამოუანგარიშებლობისა (Reinheit der Berechnung), რომელიც მისი სიტყვათ უხეირად მიშენ-მოშენებულ აფრას (derb zusammengebauetes Pendentif) ახასიათებს (გვ. 310). ნამდვილად კი აქ მხოლოდ ჯვარისებური კამარის დასწყისია, რომელიც ძალზეა ქარისაგან გამორევილი.



ლი; ხოლო ამ გვარად დახურულ ოთახებს მცორე ხარისხის კულტურული ძეგლი აქვს შენობებში<sup>1</sup>. ასე იხურება მაგალითად გვერდის ოთახები ზემოთ ჩამოთვლილ ტაძრებში. ბუნებრივი იყო რასაკეირველია, რომ ცილინდრის კამარის მუდმივი ხმარებით ჯვარისებურ კამარამდე მისულიყნენ, როდესაც საკითხი ეხებოდა კვადრატული ოთახების დახურვას<sup>2</sup>. ხუროთმოძღვრების განვითარებამ, სახელდობრ გუმბათის შემოლებამ მისი ყელით, იმ თავითვე მცორე რიგში გადაიტანა ჯვარისებური კამარა, თუმცა პირველ ხანებში ჯერ კიდევ აკეთებდენ მას მცორე ხარისხოვანი ოთახების დასახურავად. მაგრამ მცხეთის ჯვრის პირე ტაძრში ჯვარისებურ კამარის ცენტრალური აფეთქებული უპირავს და ეს იმის მაჩვენებელია, რომ გუმბათის დადგმა კვადრატულ საფუძვლზე ჯერ კიდევ არ იცოდენ მაშინ და, მაშასადმე, ჯვარისებური კამარით დახურვა უძლიერსად წროგრესიულ ნაბიჯს წარმოადგენდა მაშინდელი ხუროთმოძღვრების განვითარებაში.

ჩვენი ტაძრის შენობის მცორე საყურადღებო თავისებურობას წარმოადგენს ტაძრის ქვეშ აკლდამების მოწყობა: გვემით აკლდამები შეფარდებულია თვითი ტაძრის შენობასთან, რომლის აგებაც მათზე ყოფილი განზრახული. მაგრამ ამასთანავე ერთად უნდა აღვნიშნოთ, რომ თვალში ჰქვდება კაცს მიმართულება უველაზე უფრო სამხრეთით მდებარე აკლდამისა: მაშინ, როდესაც სამ დანარჩენ აკლდამას ერთი და იგივე მიმართულება აქვს (იხეთივე, როგორც მცირე ტაძრს), იატაკი და ჭერიც თანაბარი სიმაღლისაა, სამხრეთის აკლდამას სულ სხვა მიმართულება აქვს (არა OSO, არა მედ 0) და იატაკუც სხვებზე უფრო მაღალი აქვს. ექვს გარეშეა, რომ იგი აშენებულია დანარჩენ სამ აკლ-

<sup>1)</sup> ზენაძლოა, რომ გორია-ჯვრის კვადრატულ გადახურული იყო ჯვარისებური კამარით. უკანასკნელი მიწის ძერის შემდეგ (1920 წ.) მე იგი დავათვალიერე სპეციალურა მაზნით, მაგრამ ეკლესია სულ მოთლად დანგრეულია და ჩვენ საშუალება აღარა გვაქვს გვითვალისწინოთ საქმის ნამდვილი ვითარება. (Материалы по археологии Кавказа, т. IV, ხადაც მისი აღწერილობა მოყვანილია, ამ მხრიց აზევითარ ცნობას არ იძლევა).

<sup>2)</sup> J. Strzygowski-ც (op. cit., S. 800—801) ისე ჰერკობს, რომ სომხეთის უძველეს ეკლესიებში (იჩინდი, ალავნი, არტიქი, ბაგრანი, აქ ყველაზე მეტიც დესაკუნის ეკლესიებია, ახალი მიმართულებისა) ჯვარისებური კამარა გვხვდება მხოლოდ მცორეხარისხოვან ნაწილებში და თანაც მხოლოდ-და-მხო-



დამასთან ერთად კი არა, არამედ მათზე უწინარეს: მისი უფრო რეცეფტი არ უდგება არც მცირისა და არც დიდი ტაძრისას. ამ სტუტგაუს სტუდია საგანგებოდ მაწყობილ იმპოსტზე აღმოჩნდა აგებული. ამ უკანასკნელმა ხერხმა სიღიაღის დალი დაასვა მთელ შენობას<sup>1</sup>. თუ რამდენად უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო ამის გამო შთაბეჭდილება ადვილად შევვიდლია წარმოვიდგინოთ, თუ მიეღებთ მხედველობაში, რომ მცირე ტაძრის გვერდით აგებული დიდი ტაძარი იმავე სიმაღლის იმპოსტზეა, როგორზედაც მცირე ტაძარი. დაახლოებით ადამიანის სიმაღლეზე. უფრო გვიან აგებულ ტაძრებს საგანგებო იმპოსტი არა აქვს; ისინი მხოლოდ პატარა ზეგირკველზეა აგებული.

ტაძრის სიღიაღის უფრო მეტად უწყობს ხელს კიბეები, სტოების კოლონებზე დადგმულ ფართოდ გაბრილ თაღზე რომ დაის, და აგრეთვე თვით სტოათა ფორმა—როგორც ზემოთ გამოვარკვეით—რომელთაც ცენტრალური კვადრატის ზევით ჯვარისებური კამარები უნდა ჰქონდა. ასეთი დიადი შესავალი კიბე სრულებით არ ეგუება საკულტო ხუროთმოძღვრებას (ჩვენ არც ერთ ეკლესიაში არ გვხვდება ეს, თუ მხედველობაში არ მიეღება მავზოლეუმებს, როგორიცაა მაგალითად თეოდორიხისა რევენნაში და მისთანანი, რომელთაც გარეგანი კიბეები უნდა ჰქონებოდა<sup>2</sup>) და რეთ შთაბეჭდილებას ჰქმნის, თოტებს ეს სასახლის შენობათა ფართო შესავალი იყოს<sup>3</sup>.

ესეს გარეშეა, რომ, როდესაც ამ შენობის ავტოს შეუდგრნ, სახეში ჰქონდათ ილემიროათ მთელი ერის წმიდათა-წმიდის შესაფერისი შენობა, სადაც ყოველი ქა გულდასმით იქნებოდა ჩაშენებული, რათა ლოც გუმბათიან ტაძრებში (მე მკონია, რომ განსაკუთრებით საცურა-დლებია აქ ის გაომოვნა, რომ ჯვარისებური კაპირა ახურის მხოლოდ ჯვადრატულ არეს). «ეს არ ირის მოვლენა, რომელიც ისე ვთქვათ, რომაულობასთან ამ ეკლესიას ბერძნულ-ასურულ მიმართულებასთან ერთად სომხეთში მოდიოდეს, არამედ ფორმა, რომელიც იქ ეროვნული მოძრაობის პროცესში ჩნდება» (Es ist also kein Einschlag, der etwa mit dem Römischen oder der griechisch-syrischen Strömung der Kirche nach Armenien gelangt, sondern eine dort im Zuge der nationalen Bewegung auftretende Werkform).

<sup>1)</sup> Strzygowski (l. c., S. 347 ff) ამ გვარადვე აფასებს მაგას ხელს.

<sup>2)</sup> შდრ. აგრეთვე ი. სტრიგოვსკის ძიერ გამაცემულ ქაოვილზე გამოყვაიოლი ეკლესის სახე, რომელსაც ნ. კონდა კოვი ისახებიანს (Иконография Богоматери, I, შტ. 1914, გვ. 136).

<sup>3)</sup> შეად. Fr. Sarre und E. Herzfeld, Iranische Felsreliefs.



მცხეთის ჯვარის მცირე ტაძარი.

ეროვნული  
გამზღვისა

შენობა შესანიშნავი ყოფილიყო, როგორც თავისი სხეულის სიღიადით, ისე სამკაულთა სილამაზით. მართლაც კიბეზე ასული შედიოდა მდიდრულად და გულდასმით მორთულ შესავალში, სადაც დიადად იყო აღმართული კოლონები და მათზე ჩუქურომიანი თავები. ტაძრის შეგნით სპეციალური წალო ყოფილი კათალიკოზისა ან ეპისკოპოზისათვის, წალო გაშალაშინებული ქვისავის არის გაკეთებული. ხოლო აფსიდის კონქი ძეირფას მოზაიკურ ნიხატობით ბრწყინვალე შენობა: მატიანეშიც ხომ ამიტომ არის შეტანილი ცნობა მის შესახებ.

ტაძრის აგების ეპოქის გამოსარკვევად უფრო სიმედო კრიტერიუმი საქართველოს ტაძრებისათვის ორნამენტური სამჯაულებია. იგივე ესება მაშასადმე მცხეთის ჯვრის მცირე ტაძარსაც, ამისთვის აუცილებლად საჭიროა განვითილოთ მისი დეკორატიული მორთულობის ელემენტები.

დამახასიათებელია კოლონების თავების ფორმა და მათი სისხები; მაგრამ საყურადღებოა არა მარტო კოლონების დაბოლოვებანი, არამედ თვით კოლონებიც. სამხრეთის შესავალს ამშვენებს წყვილი კოლონა და ეს დეკორი ცნობილია სომხეთისა და საქართველოს ხუროთმოძღვრების ძეგლებში ამ ახლო-ბახლო ხანაში. მაგალით აღ სომხეთში ამნაირი შესავალი აქვს თეკორის ტაძარს ჩრდილოეთის მხრით<sup>1</sup>, ხოლო საქართველოში მცხეთის ჯვრის დიდ ტაძარს სამხრეთითაც და ჩრდილოეთით და ატენის სიონს, მასაც აგრეთვე ჩრდილოეთით და სამხრეთით. მსგავსივე დეკორატიული ელემენტი გვხვდება სასანაანთ სასახლეების არქიტექტურაში<sup>2</sup>. ჩრდილოეთის შესავალში კი არის თითო-თითო კოლონა, უფრო დიდ-დიდი, რომელთაც უფრო სტრუქტურული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე დეკორატიული. უკიცველია, იქ თავი უჩინია კავშირს, რომელიც მცხეთის ჯვრის პატარა ტაძარს აქვს სხვა უძველეს ტაძრებთან, როგორიცაა ბოლნისის სიონი საქართველოში და ერებუიქის ბაზილიკა სომხეთში. ჩვენს ძევლს ამოცენიმე მაგალი-

Berlin 1910, Tafel XV und XXII (Persepolis); F. Stolze und Th. Nöldeke, Persepolis, Bd. I. Berlin 1882, Tafel 16 und 17.

<sup>1)</sup> J. Strzygowski, op. c., S. 408 (Abb. 434) u. 410 (Abb. 438).

<sup>2)</sup> ib. S. 407.



თი აქვს უკვე განმტკიცებულისა და ახლად წარმოშობილი მოტეკიცების  
მგვარი შექრძებისა.

კოლონნების თავების ფორმა ორიგინალურია და მისი არსებობა გა-  
საგვი ხდება ჩვენთვის მხოლოდ იქნდან, რომ წინა აღმოსავლეთ-  
ში ძველი ხელოვნების ფორმებს თავისუფლად ჰქმნიდეს. ამას ჩვენ  
უკეთ ვიცნობთ ჰერურისა და ძველი სპარსული ხელოვნებიდან. კო-  
ლონათა თავების ფორმის საფუძვლად დადგებულია ბირთვი, რომე-  
ლიც შემდეგში სხვა-და-სხვა დეკორით გადაქცეულია უფრო  
რთულ ფორმებად. მხოლოდ კოლონაზე, რომელიც ამშვენებს სა-  
პატიო ნიშას კელების დასავლეთის კედელში, ჩვენ გვაქვს ბირთვი,  
რომელიც უბრალოდ გათლილი კი არ არის, არამედ გაშალა-  
შინებულია. სტრიგოვს კიც კი აღნიშნავს: «ბირთვმა შეიძლება  
კოველთვის თავი ამოშკოს დამოუკიდებლადაცა»<sup>1)</sup>. მაგრამ იგი იქვე  
შეითხულობს: საიდან მოდის კოლონნების ბირთვისებური თავი და ბო-  
ლო, რომელიც აგრე ვავრცელებულია მეათე საუკუნის ძეგლებში სო-  
მხეთში<sup>2)</sup> სომხური არქიტექტურის მეშვიდე საუკუნის ძეგლებში მან ეს  
მოელენა ვერ ნახა, თუმცა ჰუიქრობს, რომ ამ ფრისაც უნდა ყოფილ-  
იყო იგი ვავრცელებული. აქ იგი იგონებს მცხვეთის ჯვრის პატარა  
ტაძრის ბირთვისებურ დაბოლოვებას და ამის გამო შენიშნავს: «ჩრდი-  
ლოეთში ბირთვი ეგების უფრო ძველი და აქედან გადაღებული იყოს»  
სომხეთში<sup>3)</sup>.

მოტივები. რომლებიც კოლონნების კაპიტლებზე მოიპოვება, აგ-  
რეთვე წარმოადგენს მოტივთა შექრთვებას ორი კატეგიისას, დასრუ-  
ლებულისას და ახლად წარმოშობილისას. კელების სამხრეთის შე-

<sup>1)</sup> Man wird den Knaut... wohl immer wieder selbstädig auftauchen sehen. (Strzygowski, Die Baukunst der Armenier, I, S. 440).

<sup>2)</sup> Strzygowski, I. c., S. 441 u. Abb. 483; სტრიგოვს კი ჩრდილოეთა და საქართველოს პეტრობერის (იხ. მაგალ. გვ. 437).

<sup>3)</sup> ამ გამოკვლევის შემდეგ, იმედი მაქვს, საჭირო გახდება გადაშინჯვა  
ქართულისა და სომხური ხუროთმოძღვრების პოსტულატებისა, რომლებიც  
ი. სტრიგოვს კიც თავის თხულებას საფუძვლად აქვს დადგებული. მე აქ  
არ გამოუღვები მათ განხილვას, რადგანაც ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა, ვი-  
ტივი მხოლოდ, რომ თუ კაცი გულდასმით გადაიკითხავს მის გამოკვლევას, დე-  
ბულებათა სხვა-და-სხვამა თავის თავიდ გამოაშეარავდება.



սացլու յաձուլլեցք շաբաթ յանշուրցին մուրզո ու նյութակ 47  
յս յանշուրցին մուրզո ամյուծա առա մարդո սամերյուտու Շըսացլու յաձու-  
լլու, առամբեց ագրեցոյ հիմունու-ալմուսացլուտու յուլունուն ծանուսաց  
հիմունուցուտու սերութիւ յուտ զովիկո նյութակ անալուգուրուն յանշուրցին  
(յուշուս մեցացս գյուղու) ցշեցու յուլու մցըլու դրուս յաձու-  
լլեցից, սամերյուտու ծուլունուս եռոնքու<sup>2</sup> և Շըմցոյ եանցի մուն  
արյուս համրուս սամերյուտու Շըսացլու ալմուսացլու յուլունցին սացչեց.  
gaրդա ամցարուս գամույսուցուցու մնութելունուսա — ուր-  
նամերդուալուրու գամուցուցուսա — ամցարուց սամյասու գամույսուցու մըւցուտու յարուս գումա արյուս եռոնքս հյուլուցուցից անցունչ-  
տա և ցինցուլու ցիրտեցին նյութ եանցունչու<sup>3</sup>. յս մուրզո համաստա  
մցըլու սեանցետու այցմենուցու եցլուցնցին, յաշուրցու Շըմցոյ հոմո-  
սանչու<sup>4</sup> և ալուրմանցու սասանուն եցլուցնցին<sup>5</sup>; եռուն Շըմցոյ յան-  
ցուտարցին մունը, ալունցու ալմուսացլուր յուսուրունու նյութունց-  
ին և յարուն նունանուրունչու<sup>6</sup>. ամուռու յասացցին, հուն ու ցշեցու

<sup>1)</sup> օ. Ծած. VII և սուրակու 48 հայրութեա. հոմելուց գամունցու մուն Th. Kühne և մոյր.

<sup>2)</sup> Պատ. Ծածունա օց. շացասի Շըմցու յուտ. յուս սէրուրուսու II (1914) ad p. 294, հոմելուց Շըսի նյութունու գ. յ հ մ ա յ ո չ ո ս յուլունցուս № 18154 սուրակու մոյրցուու.

<sup>3)</sup> յս հանս գ. յ հ մ ա յ ո չ ո ս յուլունցու յուլ. № 2694 սուրակունցու.

<sup>4)</sup> Ֆրանցեալունու յարուս յալունցին: Fr. Sarre u. E. Herzfeld, Iranische Felsreliefs, S. 15 (Abb. 5) und S. 153 (Abb. 70); vgl. S. 113 (Abb. 48) und Tafel XVIII.

<sup>5)</sup> Պատ. Ն. Кондаковъ, Археологическое путешествие по Сирии и Палестинѣ, СПБ. 1904, табл. X и XXIV.

<sup>6)</sup> Յացալուտագ ցուրշեա-ձածուս սասանցին (G. Perron et Ch. Chipiez Histoire de l'art dans l'antiquité. t. V (Perse), Paris 1890, fig. 366-368 (pp. 573-575). Flandin et Coste-օս և M. Dieulafoy-ի նեծունցին.

<sup>7)</sup> O. Wulff, Die Koimesiskirche in Nicäa, Strassburg i. E. 1903, ss. 58-61, 167; O. Вульфъ, Архитектура и мозаики храма Успенія Богородицы въ Ницѣ (Византійскій Временникъ, VII, 1900), стр. 343-344; Թ. И. Успенскій, Исторія Византіи, СПБ., т. I, рис. 27 (463 իլուս սէրունցուս մոխանցու յումերանցունցունունչու).



ჩვენ ეკვთის ტაძრებში<sup>1</sup>, შეაგულ მცირე აზიაში<sup>2</sup>, ასურელთა და საქართველოში. ასეთი ურნამენტი უფრო მეტად მართვის გარემო ყენებული უფრო ძველს ძველზე, ვიდრე ჩვენი ტაძრია, სახელდობრ ბოლნისის სიონზე<sup>3</sup>; ჯვარის სახის გუმბათიან ტაძრებიდან ჩვენ ვნახეთ იგი მხოლოდ ატენის სიონში, ესე იგი ამ უფრო მეტმინდელ დროს ეს მოტივი უკვე ქრებოდა, რაც ფრთხების გამოყვანასაც ემჩნევა.



<sup>1)</sup> ოქთოი მონასტერი სოჭაგს მახლობლად: W. de Bock, Matériaux pour servir à l'archéologie de l'Egypte chrétienne, St.-Pétersbourg 1901.

<sup>2)</sup> Strzygowski, Kleinasiens, Leipzig 1903, Abb. 57 (იმავე ს 80 ტ. 6 თ 3 ი ს) S. 67 und Abb. 138, vgl. SS. 171-172; O. Wulff, in: Byz. Zeitschr., Bd. XIII (1904), S. 562; Ramsay and Bell, The 1001 churches, 1909, fig. 280 (p. 260).

<sup>3)</sup> Vogüé, La Syrie centrale, 1866-75; pl. 15, 104 et 148; H. C. Butler, Architecture and other arts (American archaeological expedition to Syria, t. II), New-York and Leyden 1903, pp. 30, 367, 381.

<sup>4)</sup> ოქთოის (იხლა დიგორის) ტაძრზე; შეად. Христианский Востокъ, III, 1914, табл. I; და იგრევვე Strzygowski, Die Baukunst der Armenier, I, 1918, S. 40, Abb. 37.

<sup>5)</sup> შრ. ტაბ. ad p. 294 ივ. ჯავახიშვილის ქრთველ ქრის ისტორიაში, ტფილისი 1913—1914.





ոմ գրուս, հռացեսաւ Կանքուտ գանենուլուլո մուրուզքին  
նաեցարո Սայսյոն Մըմքու օմքուտու և աղար օմարյօն,  
հիրդուլույտու սրուս ցրու յամուրուն մուրուզո, პու-  
յուտ, հռացուրու հանս, մեռլուն աշլա, հիյոն բամին աշ-  
ին ենամի Մըմուգուն. յս արուս յալատուսեպշրո Մնուլուն  
մուրուզո, հռմելուց Ֆյարազու հիրդուլույտ սրուս հիրդո-  
լու-ճասացլույտու կոլունուն տացուն նորուց<sup>1</sup>. հիյոն աժրո  
թրյուլույն մմուտ, հռմ արյոն յամուրուցին այսու սա-  
ծյուն կարծումնէ<sup>2</sup>. յս յալատուսեպշրո Մնուլույն սեցա-ճա-սեցա սքեսու Ցյանուլու  
Սայսյոն մինու մուլունա յացյասումն. ամ սամնուլուն Մնուլույն գուրմուն  
մուրուց յան ենու գուր պարուածույն աշյուզք օ. Տ Ր Հ Ր Ո Յ Ռ Վ Տ Վ Ո, հռ-  
մելուց գուր ազգուն այստույն մաս ցըրունուն որնամենդուն ցանցուտարյ-  
նամի<sup>3</sup>. մեռլուն ոց առ սանցրազ յրապես մատու ցանցուտարյօնուս, ցար-  
պալույն մուս գուր յիշունուածու գալուցուրուած անուսուն արյունուուրո  
կալույա-մունուն Մըմքույն սամուտս ցամլույն յըպո մուրունուտ մուս գատա-  
հուլույն մինու, հռացեսաւ սայմը ցից ենու սոմեցուն արյունույն բուրույն նոմույնուն  
ումբույսումն. սանցալուն յու, հռացուրու ցույզու, Տ Ր Հ Ր Ո Յ Ռ Վ Տ Վ Ո Ցու-  
յրումն, հռմ ոց վրկուլույն օրանուն პուրույն օտասու Մլուս մըու  
նաեցարմի յիստրունուլու Մյուլու-ալուրուսցուտ<sup>4</sup>, և ցայցրուտ Կուր Շ  
հռմ սուսիրուտ ալուն Մնացք, հռմ «մուսասեցու», հռմելուսաւ մոցչյացա  
նուլույն մունույնուսայն, մըրուց Սայսյոն մինեյյօ<sup>5</sup>. սուրու լու-  
լուր ցամույլույն յացյասուն յիստրունուլու մունույնուսաւ, հռացուրու հ  
այս Մըմսուա մուզքու սիսուրու ձասես.

<sup>1)</sup> Ճածարուլու 6. Տ Ր Հ Ր Ո Յ Ռ Վ Տ Վ Ո ս Ց Ա յ լ ու ն ։

<sup>2)</sup> Ցյագ. Մատ. ու Արք. Կաք., թ. IV, թիւ. 137 (ս. 150). ագրյունու Ց  
մահերտա («Եղյանունու-ս») յըլուսու յիմուսոնմի; Խաչ. Արքալ. Խոմ.,  
VII, 1903, թաճ. VII; J. Strzygowski, Die Baukunst der Armenier, ա  
453, Տ. 422, ս. ա.

<sup>3)</sup> J. Strzygowski, Altai-Iran und Völkerwanderung. Leipzig 191  
Տ. 216, 276-284, 74-75 ս. 193-198.

<sup>4)</sup> 1. ս., Տ. 216 (cf. 74-75). յուլյույն Ցըրումն, հռմելուց Մյուլու  
նարյս ցից մաս և հռմելուց 1910 Մյուլու ցամունդ, Տ Ր Հ Ր Ո Յ Ռ Վ Տ Վ Ո ցու ցամունցաւ  
Մյուլունուած հիրդուլու մըսունումնուն աղարյօն (Max V. Berchem et Jose  
Strzygowski, Amida. Heidelberg 1910, p. 270).

<sup>5)</sup> 1. ս., պ. 278.



და მოლოს, უკანასკნელი დეკორატული დეტალი ამ ეკლესიისა—  
განედლებული ჯვარი — მეტად დამახსინათებელი სამკაულია<sup>1</sup>. ჩვენ აქა  
გვაძეს ჯვარი, რომლის ყოველ მხარსაც შემოვლებული აქვს პარალე-  
ლი ხაზები; ბოლოებში ყოველი მხარი გაფართოვებულია, თითქოს კონ-  
ჭიდი აქვსო. აქ მაშასადამე მხრები თან-და-თან არ ფართოვდება ბოლო-  
ებისაკენ. ამ ფორმით ეს ჯვარი ცხადია იმ ჯვრების ჯგუფში შედის,  
რომლებიც ცნობილია ქრისტიანული ხელოვნების უძველესი ძეგლები-  
დან, სახელდობრ IV - VI სს., როგორიცაა მაგალითად ეკლესის კედ-  
ლის მხატვრობა წმ. პუდენციანისა რომში, გალა პლატიონის მაგზოლე-  
უშისა, წმ. ვიტალესი და წმ. აპოლინარისა იn Classe რავენნაში, აგ-  
რეთვე რავენნის სარკოფავებზე, წმ. აპოლინარი ახლის კანკელზე (ბა-  
ლუსტრალაზე) და სხვა ძეგლებზე. ნაჩვენებ საერთო ფორმას ვარდა სა-  
ურადლებოა ოროლი განედლებული შტო ჯვრის ქვემოთ. ამის ანა-  
ლოგიები (ოროლი განედლებული შტო) ჩვენ ვიცით მხოლოდ წრომის  
ტაბარში (ქართლში)<sup>2</sup>. განედლებული ჯვრის გამოხატულება ძველ ქარ-  
თულ ტაბარებში მხოლოდ იშვიათად გვხვდება და თუმცად წრომსა და  
ვალეს ბაზილიკაში მათ საპატიო აღვილი უჭირავთ ტაბარის საერთო  
სამკაულში, მაგრამ უმთავრესად ჩვენ მათ შემთხვევით ვხვდებით ტაბ-  
არების კედლებზე. განსაკუთრებით საყურადლებოა ის გარემოება, რომ  
შემცევში ამ გვარი ძეველებური გამოხატულება ჯვრისა მომკვება ხოლ-  
მე ეკლესიის შენების დროს უმნიშვნელო აღვილზე, როგორიც ამას  
ვძელდავთ საფარის მონასტრის მიძინების ეკლესიაში. სომხეთში კი,  
პირიქით, ვითარდება მოგრძო ჯვარი სიმეტრიული ფორმისა, განედ-  
ლებული ძირში, და აქ იგი ხმარებაშია მრავალი საუკუნის განმავლო-  
ბაში. ეს უძველესია აისნება იმით, რომ სომხური ეკლესია არაეთიარ  
ხატს არ სცნობს და მისთვის ჯვარი ერთად-ერთი მისალები სიმბოლოა.  
ხოლო ქართულ ჯვრის სახის გუმბათიან ტაბარებში ჯვარი გუმბათის  
კამარის მუდმივ სამკაულად იქცა.

<sup>1)</sup> Scherwinsky-ს მოჰყავს ცუდად შესრულებული ნახატი ამ ჯვრისა (l. c., Taf. 18, Abb. 8), ხოლო Strzygowski-ს (Die Baukunst der Armenier, S. 441, Abb. 483) ბუნდოვანი ფოტოგრაფიული სურათი მოტელი ნიშისა.

<sup>2)</sup> სახელდობრ, სამხრეთის შესავლის ტიმჩანში; ამას ვარდა შეადგ. კი-  
დევ სამხრეთის ფასალის ფრონტონში და დასავლეთის შესავლის ტიმჩანში.



ամ հոգած թվերու չարու մուռու բաժնու ցըցմիսա քաջակիւտախէս տաշուսեցներունատա լա ըցըւալցնու զանենլցա յիշ մոյրանլաւ ցարնթմյունցն օմանու, հոմ յե Շենոնձ յահույլու նշրուտմունցընու սկցըլցս ենաս ցյուտնոն, հաջանաւ օննունցնու ոցուսցնան (յուս մոլլյուտա նունցն նցնու, լարու յցընսա լա յցընս Շյա—“նյան” ) մնոլուգ մանու ոյս գամանեսուացնելու. Շեմցը նոցոյերու ոցուսցնեցնունա (յահուսեցնու յամանու, մայու-մեղու յագուրնունացն ամոցանուլու յուլլունու, եցանցնու մմիւնսէն, պյուլումյուն) տան-ճա-տան յիշնու լա մյուլյու և մուլլուգ ունունու մմանուն տանունցնուն յահույլունու յացույկնունցն նցնու, հոմ յե Շենոնձ յումցըլցսու բունու չահուսեցնուն ցումնատուն ըամ-հունտան Շեգահրնու յուցրու մցըլու դրուս և մանունցնուն յամունուն Շենոնձատա հուլեցս յցունուն լա հոցուրու ասցու ոյս, ասյ առյատ, յայնասյնըն թամունացնելու յունդա ոյսու. ոմ դրուս չյիշ յուլյու առ ոյս գարիցյա ճուգ լա մունդուլուգ մուրուլու և մանունցնուն Շենոնձնուսա լա և ասածնուցն մուս: ամուս ճամանքուցնունու յատու Շեսացալու լա մաղալու մմիւնսրու, պյուլուց սամյայլունու ըցըւալցնու, հաւ մատ մցըլու և մանունցնուն ելլուցնուստան ասլունցընս. Սեցանակուա հոմ առյատ, թվերու չարու մուռու բաժնու պյուլունու, յուրիւ մուս ցայրուու դուգ բաժնուս ա՛նենցնուն. մացրամ ամաս օնսու յունդա դացնենուու, հոմ մատ դուգու դրուս մանմունու առ յունդա էպյուցնու: յե հայրու ճանյան էպուլունուս յամահուլունուս յումցըլցս մյարուներու ընոնցնու: յահուլուս մոյւլցուսա լա սյումնաւ ճացուուս ուս յիշունույնու: Ս՛ուրեւ ուրուց յուլուսուս նշրուտմունցընու մյունուրուլմա Շյսիւալցամ սանցուալցն մոցըպա, հոմ ցացուու ըըշնուս նամլցունու անրու.

### III.

Իցեն յացը մոցուցանցու յահուլուս ընոնձ, հոմ ցոյսարմ կուրապալարմա ճաջու և այցա և այցիւց (rsp. ևամուշյալու) և արտաւնուս պյուստամաւ:

<sup>1)</sup> J. Strzygowski's (Die Baukunst der Armenier, S. 241 u. 440) էցունու, հոմ մուռու յուլցուս դուգ բաժնուան յիշուագ արուս ա՛նենցնուն լա և սյուրցուս յամուստյամս, հոմ սեցա յուլցուս մոյւլցուսա լա սյումնաւ ճացուուս ուս յիշնու, հոմ տացլաւուրուց ոյս սանատլացա հոմ առ ոյս յանցուացնունու (daraufhin untersucht werden, ob bei ihnen nicht die Voraussetzungen für ein Baptisterium erfüllt sind).

<sup>2)</sup> Օպիս. II, 724=ևամու սեր. եր., 34=տ. սուրճանու, յիշոնոյցնու լա սեցա և ասածն... [I], Ծուոլուս 1892-93, ց3. 57.



ამასვე სწერს სუმბატ დავითის ძე თავის ქრონიკაში და აზნაურების მცხეთის დამაცემის დანართის გვარისა ეკლესიასა, რომელ ას მცხეთას<sup>1</sup>. იმავე ქრონიკებში შემდეგ ვკითხულობთ ასეთ შენიშვნებისაც: მისა [გურამ და-დასა] შემდგომად ერთსთავის სტეფანზ, ძრ მისი, ძმა დემეტრესი; და იქმთდა ეკლესიასა ფურაისა:ა<sup>2</sup>; ხოლო სუმბატის ქრონიკაში: და შემ-დგომად ამის გურამისასა ერთსთავის ძე მისი სტეფანზ და ძმა დემეტრესი; და აშენებდეს ეკლესიასა ფურაის მცხეთას<sup>3</sup>. ორივე ცნობაში მხოლოდ ფაქტია გამოყენებული, რომ ტაძარს აშენებდენ, მათ შორის კი არავი-თარი კვშირი არ არის. ხოლო, როგორც ეს ჩვენ უკვე ვიცით მცირე ტაძრის განხილვიდან, ეს ცნობები სხვა-და-სხვა ტაძარს ეხება—პირვე-ლი მცირე ტაძარს, მცორე კი დიდს. ამას ამტკიცებს ორი შენობის შე-დარებაც და მათ შორის ურთიერთი დამოკიდებულებაც.

მცხეთის ჯერის დიდი ტაძარი მრავლად არის შემკული აღმშენე-ბელთა რელიეფური გამოსახულებით, მაგრამ მათ შორის არ არის გა-მოსახული ქრონიკაშიც მოხსენებული ორი აღმშენებლის მამა, გუარამ; იქ გამოსახულია სტეფანოზ, დემეტრეს, ადრნ ე-რსე და სხვა წყაროებიდან უცნობი ქობოკლ, რომელიც ლოც-ვით მიმმართოს წმ. სტეფანეს (ალბათ თავის პატრიონს ქრისტიანული სახელით), მაგრამ არ არის გუარამი<sup>4</sup>. ეს ნათლად ამტკიცებს იმას, რომ დიდი ტაძარი გუარამის მიერ არ არის აშენებული; ამაში არავითარი ეჭვი არ არის. შემდეგ, ორივე ტაძრის ოჩინენტაციაც გვიჩვენებს, რომ ჯერ აუგიათ მცირე ტაძარი, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში მის თარიღინტა-ციას შეუფარდებდენ დიდი ტაძრისას და არა მზის ამოსვლის ხაზს, რო-

1) მმ დაფ., 339<sub>14-15</sub>=სამი ისტ. ხრ., 45=ქრ., I, 67.

2) Օպ. II, 724 =სამი ისტ. ხრ., 35=ქრონ., I, 58. მხოლოდ შატბე-რდის ხელონწერში, კელიშერში კი ამ ადგილს გამოტოვებულია.

3) მმ დაფ., 340<sub>3-5</sub>=სამი ისტ. ხრ., 46=ქრონ., I, 68.

4) იხ. ტაძელები ივ. ჯავახიშვილის ქართველ ერის ისტორიის (ტვ. 1913 წ., 1<sup>2</sup>) ad pp. 218, 220, 224 და 244, და აგრეთვე მისი ვაკე ისტორიის მეთოდები, წყაროები და მინები, წიგნი I, 1916 წ., გვ. 137, მცორე გამოც., 1921, გვ. 197.—ქობოკლ გამოსახულია უკვე სა-მხეთის შესავალზე, ესე იგი მცორე ხარისხოვან ადგილას; სამი პირველი მთა-გარი კი აღმოსავლეთის ფასადის უკელა რელიეფს ჰყარავს.



დესაც მისი შენება დაუწყიათ. ხოლო, როდესაც მცირე ტაძრის მარტივე  
დით დიადი და ბრწყინვალე შენობის აგებას შესღომიან, პირიქით,  
აღარევითარი ყურადღება არ მიუქცევიათ არსებული პატარა შენობის  
ორიენტაციისათვის და მიმართულება ხელახლა აუღიათ.—დასასრულ  
კიდევ ერთი დამატებიცებული საბუთი ამ დეპულებისა. დიდი ტაძ-  
რის შენობის აგების დროს ხუროთმოძვარი ანგარიშს უწევდა რეალურ  
მდგომარეობას. რაული დანაწევრება ფასადებისა მას საერთოდ დამთავრე-  
ბულ და დასრულებულ სისტემად ჩამოუყალიბები და ოუმცა სხვა. და-სხვა-  
ნაირად, მაგრამ რეალურ მდგომარეობასთან შეფარდებით შეუმცია მხო-  
ლოდ აღმოსავლეთისა და სამხრეთის ფასადები მდიდრული და ნაირ-ნაირი  
ფიგურებითა და ორნამენტებით, რაღვანაც მხოლოდ ეს ფასადები ჩანს  
როგორც შორიდან, ისე ახლოდან. დასავლეთის ფასადი მხოლოდ შორი  
მანძილიდან ჩანს. ქ. მცხეთიდან, რაღვანაც პირდაპირ მაღალ კლდეზე  
გადამდგარი. ამიტომ ხუროთმოძვარი დაკმაყოფილებულა იმით, რომ  
ფასადის მასა დაუწევრებია, სარკმლებიც გაუკეთებია, მაგრამ არყი-  
თარ სამკაულისათვის არ მიუმართოს. ჩრდილოეთით კი ფასადის მასა  
დაუნაწევრებია, მაგრამ სარკმლები არ გაუკეთებია: იქ არის მხოლოდ  
ტაძრის შესავალი კარი (ისიც დასრულულია სტოით, რომელიც გამოსა-  
ვალს წარმოადგენს მცირე ტაძრიდან) და ერთად-ერთი სარკმელი გუმ-  
ბათის ყელის შესატყებს წახნაგში. დადი ტაძრის ჩრდილო ფასადი  
მთლად დატეარულია მცირე ტაძრის ტანით ისე, რომ იგი არა ჩანს  
არც შორიდან და არც ახლოდან და ხუროთმოძვარიც სწორედ ისე  
მოგეყრა ფასადს, როგორც ამას მოითხოვდა მისი აღიღლ-მდგბარეობა.

თუ რამდენად პასუხ საგები და ძნელი შესასრულებელი იყო ეს  
საქმე, გუარამის შეიღმა სტეფანოზ შთავარმა რომ აიღო თავშე,  
იქიდან ჩანს, რომ მან ვერ მოასწრო დიდი ტაძრის შენობის დამთავ-  
რება. ის დაამთავრა მის შემდევ მეორე მთავარმა აგრეთვე სტეფანოზ-  
მა. «მოქცევად ქართლისად», როდესაც აღწერს VII საუკუნის თე-  
ანი წლების ამბებს, გაკვრით აბიობს, რომ ტფალის სიონი განეშონა  
(resp. გასრულებს) შეკვდოთა, ხოლო ჭურისა ეჭლესისა აკლდადა<sup>1</sup>; სუბ-  
ბატ დავითის ძეც სწერს: ტფალისას ეჭლესი სიონი გაქრუდა, ხო-

<sup>1)</sup> Օպი. II, 72=სამი ისტ. ხრ., გვ. 36=ქრონ., I, 66.



და ფუარისა ეპლესიასა აკლდა<sup>1</sup>. დასასრულ მცხეთის ჯვარის—ტაძარის შესახებ ვკითხულობთ ქართლის მოქცევაში: და მისა [ერთსათავისა ადრნენსეს] შემდგომად ერთსთავობდა სტეფანზ, მტ მისი; და ამან განიშორა ფუარისა ეკლესიად; და დადგა კრება ფუარისა ფუარისა ერთ თუუ<sup>2</sup>. ისატორიკოსი სუ მბა ტი თითქმის იმავე სიტყვებით იმეორებს ამ ცნობას: და მან [სტეფანზ] განასრულა ეკლესა [ფუარისა], და განწესა მუნ ფუარისა ქრება<sup>3</sup>. მემატიანეთა ეს ცნობები რეალური შინაარსის მხრით სრულ და ნათელ შესაძლოს არ წარმოადგენს. მათი გაგება დანამდვილებით შესაძლებელი გახდა მხოლოდ თვით რეალიების შესწავლით, თითოეული ტაძრის მხატვრულ-ხუროთმოძღვრული ანალიზით და მათი შედარებით. და სწორედ ამან მოგვცა საშუალება ქრონიკების ტექსტი გაგვეგო ისე, როგორც ზემოთ არის განმარტებული: საჭიროა კიდევ ისიც აღნიშნოთ, რომ მემატიანეთა ცნობების ბუნლოვანებამ მე XI საუკუნეში ათქმევინა ჯუან შერ ჯუან შერიანს, რომ ეს ცნობები თითქმის ერთსა და იმავე შენობას ეხებოდეს. ასევე გაუგია ეს ძელი ქრონიკული წყაროების გამომცემელს ე. თაყაიშვილსაც, რაიცა ჩანს მისი რეალული თარგმანიდან.

პირველ ცნობას შენობის აგების შესახებ (გუარამ კურაბალატის მიერ) ჯუან შერ მა შემდეგი განმარტება დაურთო: და ამან [ტუარაშ] იწეო ეკლესიად ფუარის პატიონისია; და აქმოშედე ფუარი ვეღა ზედა იურ; და ქმნა ეკლესია წელთამდისი დებე<sup>4</sup>. ჩევნ ვხედავთ, რომ ქართლის მოქცევისა და ევსტათი მცხეთელის ცხოვრების ცნობათა პარაფრასში შესაძლებელი გახდადა დასკვნა გამოეტანათ ამოყვანილი კედლების რეალური რაოდენობის შესახებ. შემდეგი ცნობებიც ვარიანტებს წარმოადგენს: მან სტეფანზისა სახელით სტაფანე (resp. დამეტრე)

1) მამ დაფუ. ქართ. ცხ., გვ. 341<sub>11-12</sub>=სამი ისტ. ხრ., 48=ქრონ., I, 68.

2) Օպիս. II, 726=სამი ისტ. ხრ., გვ. 36=ქრონ., I, 69.

3) მამ დაფუ. ქ. ცხ., 342<sub>1-2</sub>=სამი ისტ. ხრ., 49=ქრონ., I, 68.

4) მამ დაფულის ქ. ცხ., 192<sub>12-13</sub>=ქართლის ცხოვრება, წიგნი I, მ. ბროსეს გამ., საბ. 1849 წ., გვ. 164=ქართლის ცხოვრება, წიგნი II, ტომი I, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა, ტფილისი 1898, გვ. 235 (სიტყვები: ამან იწეო ეკლესიად — მამ დაფულის ვარიანტში გამოტოვებულია)=HdLG, I, p. 222.



ადაშენებდა კბლესიასა ჭუარის პატიოსნისასა, რამეთუ სენატი ტურქეთის მიმდევა  
ბირთვი და ვერ შემძლებელ იუთ განმორებად კარს კბლესიასა<sup>1</sup>: კიდევ  
ქვევით: და კბლესია ჭუარის პატიოსნისა და სიონი ტფილისის გაესრულებს  
ადაშნასე ქართლის მთავარისა<sup>2</sup>, და დასასრულ: და მან [სტეფანიზ II] მოადგინა  
ზღუდინი კბლესიასა ჭუარის პატიოსნისასა და ადაშენა დარბაზი; და დაუწერა  
უთველთა პრება პარასპეკტა; და მან შეკრბენ უოველი ეპისკოპოსნი და მღვდე-  
ლინი მის არისანი კათადიკოზისა თანა წინაშე პატიოსნისა ჭუარისა; ადა-  
დან პარასპეკტა, გთარობა დიდი პარასპეკტა<sup>3</sup>. აქ ჩვენ თვით თარიღების შე-  
ცვლასთან გვაქვს საქმე. ჯუან შერ ჯუან შერიანი მოვითხრობს,  
რომ ტაძრის შენობა ადარნასებ დაამთავრა, ხოლო მისმა შეიღმა სტე-  
ფანიზა ზღუდები მოადგა მას და საცხოვრებელი დარბაზი ააშენაო<sup>4</sup>.  
რაც ახლა ტაძრის გალავანში საცხოვრებელი ბინების ნაშთებია  
დარჩენილი, სრულიად არ იმართლებს მა ცნობას, თუ რომ დარბაზი ს  
მისი ჩვეულებრივი მნიშვნელობით გავიგებთ.

ამ რიგად უძველეს ქრონიკებში აღნიშვნულია, რომ შენობა დაამ-  
თავრა სტეფანიზ მეორებ, ადარნასეს შეიღმა, ხოლო ჯუან შერ  
ჯუან შერიანი ამას თვით ადარნასეს მიწერს. ეს გასაგებიც არის,  
თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მისი აზრით ეს ცნობა ერთსა და  
იმავე ტაძარს ეხება: სტეფანიზს რომ დაემთავრებინა ტაძრის აშენება  
და არა ადარნასეს, გამოყიდოდა, რომ ტაძარი თითქმის მოელი საუკუ-  
ნე შენდებოდა.

როგორც უკვე ვთქვით, ე. თაყაი შვილმც ისე გაიგო ქრო-  
ნიკების ცნობები, თითქოს ის ერთ ტაძარს ეხებოდეს. გუარამის შეიღმა  
სტეფანიზის შესახებ მოყვანილ ცნობაში მან იქმდა-<sup>(1)</sup> (ქართლის მო-  
ქვევაში) და აშენებდეს-იც (სუმბატის ქრონიკაში) ერთნირად გადათარ-

<sup>1)</sup> მაგ დაფლის ქართლ. ცხოვ., 194,-, =ბროსეს გამ., ვვ. 165-166=ზ. კიქ. გამ., 237=HdLG, I. 224.

<sup>2)</sup> მაგ დაფლ. ქართლ. ცხ., 196<sub>11-13</sub>=მ. ბროსეს გამ., ვვ. 169=ზ. კიქ.  
გამ., 242=HdLG, I. 231.

<sup>3)</sup> მაგ დაფლ. ქ. ცხ., 197<sub>6-11</sub>=ბროსეს გამ., 169=ზ. კიქინ. გამ., 243=HdLG., I. 232.

<sup>4)</sup> ეგრეთ წილებულ Chronique arménienne-ში ამ აღვილას ზოგი რამ გა-  
მოტოვებულია. გამოტოვებულია სხვათა შორის ცნობები ჯვრის ტაძრებშე;  
მოსენებულია მხოლოდ დღესასწაულების დაწესება (Additions et éclaircisse-  
ments à l'Histoire de la Géorgie, par M. Brosset, S.-Pétersbourg 1851, p. 46-47).



გმნა—продолжалъ постройку<sup>1</sup>. Наиупрѣшь сър҃ули კი, ავტორი მის რომანით  
ნახმარი, რასაკვრელია, მხოლოდ მოქმედების ხანგრძლივობას აღ-  
ნიშნავს. თუ ჩვენ ანგარიშს გაუწევთ იმას, თუ რას იძლევა რეალურად  
ქეგლი, ჩვენ უნდა აღვიაროთ. რომ ქრონიკების ცნობითა ასეთი გაგება  
სინამდვილეს არ შეეფერება და ამიტომ უკუგდებულ უნდა იქნეს.  
გუარამბა ააგო მცირე ტაბარი, ხოლო ძლიერმა კულტურულმა და-  
წინაურებამ აიძულა მისი შვილი, ხელი მიეყო ახალის გაკილებით უფრო  
დიდი შენობის აგებისათვის<sup>2</sup>. ასეთი საჭირო დაწყების აიძულებდა სტე-  
ფანოზს მისი პირადი ცხოვრებაკ, რომელზედაც მოთხოვილია წმ. შიოს  
«მერვე სასწაულში»<sup>3</sup>. ამ მოთხოვილით სტეფანოზი თავდაპირველად  
ეგლექისა ფრიად ძეირსა უკუფდა<sup>4</sup>. ხოლო მასზე მოწეული სასჯელის  
შემდეგ იგი დიდ სინანულს მიეცა და დიდად მორწმუნე ქრისტიანე  
შეიქმნა. იგი სინანულით მივიდა წმ. შიოს მონასტერში და აქ განი-  
კურნა. და მასვე ჭამეს დასწერა ჭრიანტაგი და დამტკიცა ეძღვათა თვისითა  
და წარწესტა ქოვედისა შინა ქუშებანასა ქართლისასა, რათა უფეხლია ეგლექიანი  
განათავის შეფეხნები მძღვანებისაგან და ხარჯის მიცემისა. ესრუთ ამინითგანტა  
აწერ სტეფანოზ მეთადის უოფად ეგლექიანთა და პატივისა პერიალ ეპიკო-  
პოზითა, მღედღელთა და მონაზონთა და ამანცა ფრიადი აშენა ეგლექიანსა ზედ  
ჭარისასა, ეპრევე ცოდმის მასმან ფრიადი საფასე მაანიჭა წარსაკებულად  
მამასტერისა მამისა შიოსსა<sup>5</sup>.

ამ რიგად შეგვიძლია დავასკენათ, რომ მცხეთის ჯვრის მცირე  
ტაბარის აგება უნდა მიეწეროს საქართველოში მე-VI საუკუნეში ახლად  
ალორძინებული ხევლმწიფო გრიგორი გრიგორი პირველ წარველ წარმომად-

<sup>1)</sup> Е. С. Т а к а й ш в и լ ი, Источники грузинскихъ лѣтописей. Три хро-  
ники (Сборникъ материаловъ для описанія мѣстностей и племенъ Кав-  
каза, вып. XVIII), Тифлісъ 1900, стр. 44, 124.—о. ხ օ ხ օ ბ օ Ց օ լ Ց օ  
კ օ გ დ ა თ ა ნ ე ბ მ ა : и построилъ онъ церковь въ честь св. Креста (Источники по  
введенію христіанства въ Грузіи, с. 2, прим. 2—отд. отт. изъ Прев-  
ностей Восточныхъ Московск. Археол. Общества, т. I, вып. 3, Москва  
1893).

<sup>2)</sup> ამის სანალოვით მე აღნიშნავ ქ. ანისის ზღუდების მოდგმას ამო-  
ტია და შემდეგ მისი შემკვიდრის სუმბატის შიერ.

<sup>3)</sup> საქართველოს სამოთხე, შეკრებილი გ. ს ა ბ ი ნ ი ს მიერ, პეტერ-  
ბური 1882 წ., გვ. 256-258, გაღმომეტდილია თ. უორ დანიას ქრო-  
ნიკებში (I, 59-61).

<sup>4)</sup> საქ. სამ., 256.

<sup>5)</sup> საქ. სამ., 258<sub>13-14</sub>.



გენელაგანს. ახლა მხოლოდ შევეცდებით უფრო ზედმიწევრულ-გარემოები ზღვროთ დრო, როდესაც ეს უნდა მომზდარიყო.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ვახუ შტი ბატონიშვილის მიერ პირველად შემუშავებული ქრონოლოგიით ზემოთ ხსენებული პირები მთავრობდენ: გუარამი—575-600 წწ., სტეფანი I—600-619 წწ., ადარნერსე—619-639 წწ., სტეფანი II—639-663 წწ.<sup>1)</sup> ხოლო ქართული ნუმიზმატიკისა და სხვა წყაროების საშუალებით შეიძლება ვა ა ბ უ-შტი ის გამოკვლევებში არსებითი დამატებისა და შესწორების შეტანა<sup>2).</sup>

პირველ ყოვლისა ჩვენ შევჩერდებით ნუმიზმატიკურ ცნობებზე, რომელთა საშუალებითაც შეიძლება სტეფანის I-ის მთავრობის თარიღის შესწორება. შემდეგ კი მივმართოვთ წერილობით წყაროებს.

სასანურ-ქართული უძეველესი ფულები, სადაც ჰიონიზდ IV-ის (579—590 წწ.) სურათის ზემოთ არშიაზე ქართული მონოგრამებია, ეკუთნის მისი მეფიობის მეშვიდე წელს, ე. ი. 585—586 წწ.<sup>3)</sup>; ამის შემდეგ გვხვდება ანონიმური ფულები მერვე წლის თარიღით ან კიდევ ისეთები, რომელთა თარიღიც გაურკვეველია და რომლებზედაც ემბლემად ჯვარია გამოსახული<sup>4).</sup> ამთ მოჰყვება ფულები, სადაც აგრეთვე

<sup>1)</sup> ვა ბ უ შტი, საქართველოს ისტორია, განმარტებული დ. შ. ბ ა ჭ რ ა-ძის მიერ, ნაწ. I, ტფ. 1885, გვ. IV და 106-114.

<sup>2)</sup> ნუმიზმატიკური ცნობების მნიშვნელობას ყურადღება მიაქცია ი. ბ ა რ-თ თ ლ მ ე ბ (Lettres numismatiques et archéologiques, relatifs à la Transcaucasie, SPbg. 1859, p. 47 et 14), რომელიც სცდილობდა რაც შეიძლება ზედმიწევრით გამოერკვია სასანურ-ქართული ფულების ქრონოლოგია (I. c. 92). მას მოჰყავს ერთის მხრით დეტალი, რომელიც ადასტურებს, რომ სასანურ-ქართული ფულები მოჭრილი უნდა იყოს აღნიშნული წლის ნამდევილ სასანურებთან ერთად (I. c., p. 98, 13, 91, 96), ხოლო მეორეს მხრით მაგალითები მოჰყავს იმ შემთხვევისათვის, როდესაც ფულებზე დაგვიანებული თარიღი (pp. 14, 75-77, 97, 100). ე. პახომოვ მაც მაც (Монеты Грузии, I, СПБ. 1910, стр. 28-29, отд. отт. изъ Зап. Нумизм. отд. И. Рус. Афр. Общ., томъ I, вып. IV) შეითანა მხოლოდ ერთი ცვლილება დარნერსეს გამთავრების თარიღში სტეფანის შემდეგ (619 წლის მაგიერ 626 წელი); დანარჩენი კი ყვილა-ცერი ცცვლელად დატოვა.

<sup>3)</sup> Е. А. Пахомовъ, I. с., стр. 16-19 и табл. I, №№ 8-13.

<sup>4)</sup> I. с., стр. 25-27 и табл. I, №№ 14-16.



ჯერის ემბლემა მუდამ არის, და ამას გარდა სტეფანოზის სიტყვაში მოიხსენიერება ქრისტიანობის კრისტიანული ან სრული, ან შემოკლებული. ამ ნიმუშებს გარდა ქართულ-სა-სანური ფულები არ მოგვეპოვება. ე. პ. ა ხ თ მ თ ვ ი აღიარებს, რომ უკეთა ეს ქართულ-სასანური ფული «ერთსა და იმავე ზარაფხანაში არის მოქრინილი»<sup>1</sup>. სტეფანოზის ფულებს ზოგიერთი მათი დეტალების მიხედვით ე. პ. ა ხ თ მ თ ვ ი თუ ჯგუფად ჰყოფს<sup>2</sup>. ერთს მათგანს, რომელსაც ახასიათებს ოთხი ასოსაგან შემდგარი შემოკლებული სახელი ხფჩე, არშიაზე აქვს ჰორმიზდ IV-ის გამოსახულება და აგრეთვე მისი სახელის წარწერა; ხოლო მეორე მხარეს ფაქლაური თარიღი, ისიც შეცვლილი; ბართოლომე მე სა და ლ ა ნ გ ლ უ ა ს აზრით ეს ჰორმიზდის მეფობის მე-12-ე წელს ეკუთვნის<sup>3</sup>. იმ ფულებს კი, რომელსაც სტეფანოზის სრული სახელი აწერია ხრისტიფერი, გამოსახულების ირგვლივ არავითარი ფაქლაური წარწერა არა აქვს და არც თარიღი<sup>4</sup>. ეს ფულები «პატარა რგოლებისა, ახალი მოვარისა და ვარსკვლავების დალაგებით» ხოსტი II-ის (590—628 წ.) ფულების პირს წარმოადგენს და არა ჰორმიზდ IV-ისას (579—590)<sup>5</sup>.

მაშასადამე უეპველია, რომ არსებობს სტეფანოზ მთავრის ფულები ჰორმიზდ IV მეფობის უკანასკნელ წელს მოკედილი (590 წელს), ხოლო დანარჩენი კი მოკედილია უკვე ხოსტი II ფარვეზის (590—628 წ.) მეფობაში<sup>6</sup>. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ სწორედ 591-607 წლებში იცერის დასავლეთი ნაწილი ტუილისამდე ბიზანტიის იმპერა-

<sup>1)</sup> Пахомовъ, I. с., стр. 27 და 23: вышли изъ одного и того же монетнаго двора.

<sup>2)</sup> I. с., стр. 34, 35.

<sup>3)</sup> I. с., стр. 28-29 и табл. I, № 18—Bartholomaei, Lettres num. et archéol., pl. I, № 4 და ვართლები (A და) B.; V. Langlois, Essai de classification des suites monétaires de la Géorgie. Paris 1860, p. 30 sqq..

<sup>4)</sup> I. с., стр. 30-32 и табл. I, № 17, табл. II, №№ 19-22.

<sup>5)</sup> I. с., стр. 36 и 35: по числу и расположению ободковъ и полумѣсяцъ со звѣздочками; Barthol., I. с., pl. I, № 5 და სამსული ვართლები D და E.

<sup>6)</sup> ეს მეფე ქართლის ცხოვრებაში ცნობილია ა მ ბ ე რ ვ ე ზ ი ს სახელით (ზე დაფულ., 190).



ტორის მფარველობის ქვეშ იყო<sup>1</sup>, ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ მათ მომავალი გაქრა სტეფანოზის მეორე ტიპის ფულებზე ფაპლაური წარწერები. აგრეთვე აღვილი ასახსნელია ისიც, რომ მათ მომავალი შეჩერდა საკუთარი ფულის მოკრა, სახელდობრ იმპერატორ ირაკლის ლაშქრობის დროიდან, როდესაც ივერიას აუარებდელი ბიზანტიური ვერცხლის ფული მოაწყდა (ამ ფულებზედაც ჯვარი იყო გამოსახული)<sup>2</sup>. ფულების სახე ამ გვარად ჩვენ ნათლად გვიჩვენებს ქართველ მთავართა ქრისტიანულ პოლიტიკას, რომელიც წამოყენებული იყო მათ მიერ სპარსული ცეკხლთაყვანის-მცემლობის წინააღმდეგ.

ამ რიგად ნუმიზმატიკური ცნობები გვაძეულებს ჩვენ მოელი ათი წლით გადავსწიოთ მე-VI საუკუნის ბოლოში სტეფანოზ I-ის მთავრობის დრო. და ჯ უ ა ნ შ ე რ ჯ უ ა ნ შ ე რ ი ა ნ ი ს მოთხრობაც ხომ ამას ამ-ტკიცებს: მავრიკის დამხმაბა და ფოკასა და ქასტრეს (ხუასროს) ოში 604 წლისა ისეა იქ მოთხრობილი, რომ მათ სტეფანოზ I-ის მთავრობის და-საწყისში არ უნდა ჰქონოდა ადგილი<sup>3</sup>.

<sup>1)</sup> ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველ ერის ისტორია, I<sup>2</sup>, გვ. 214-215.

<sup>2)</sup> Bartholomaei, l. c., pp. 48-49, 63-64, 88, 91; Пахомовъ, l. c., стр. 30.

<sup>3)</sup> მარიამ დედ. ქ. ცხ., 193; HdIG., p. 224-225.

თ. ეთ რ დ ა ნ ი ა ი ხ ს ე ნ ი ე ბ ს ა მა ს გ ა რ დ ა 590 წლის გახლობლად სტეფანეს, რომელიც მისი აზრით შეიძლება სტეფანოზი იყოს (ქრონ., I, 62-64, მე-130 შენიშვნაში; შეად. აგრეთვე შენ. მე-124, გვ. 57). ამ სტეფანეს შეგობრული კავშირი აქვთ იმპერატორ მავრიკისთან. ცნობა ამოღებულია გულანდუხტის გაზირებიდან, რომელიც დაიღუპა სპარსეთის ხეასრა შევისაზე [532—579] და არამაზე შევისაზე (579—590), სახელდობრ ბერძნთა შეფოთხას კასტრანტინებიდან დამრთას-მსახურას, მავრიკისს წელს შექრეს (590—591 წ.) (ქრონ., I, 62). აქ მოხსენებულია, რომ ლაზოლკილი ხეასრა II (ბაპტიამ ჩიტინის აჯანყების დროს 590 წელს) იმპერატორმა მავრიკიმ დადად დაასჩუქრა სტეფანეს მიერ სენაკად შის საუთავოსა კაცის, კაცის დიდებულისა და პრატენდის, რომელით სტემარ იქმნა წმიდანის შას შოთამისა (ქრონ. და სხ., I, გვ. 64 და 57). ცხორება დაულია ტფილისის საეკლესიო მუზეუმის № 95 დიდ კრებულში, რომელიც მე-X საუკუნეს მიაკუთხებენ: ზ. ჯორ-ჯავა, Описание рукописей тифлисского церковного музея, I, Тифлисъ 1903, стр. 96, 107; წამებად წმიდისა შემანიკისი, ხ. რ. ვორგაძის რედაქტორობით, ქუთაისი 1917 წ., გვ. 39, Monumenta Hagiographica Georgica,



თუ რა დრომდე მთავრობდა სტეფანოზი, ეს შეგვიძლო ასე მიმდინარე უკუკერ არ არის მართველი განკუთხა რომ უძლოდა წინ, კერძოდ გურგანის მარზაპანის სუმბატის და ივერიის კათალიკოზის კირიონის წერილებით<sup>1</sup>. ამ მიწერ-მოწერაში მოხსენებულია მთავარი ატრინერსეჭ, ესე იგი ადრნერსე, რომელიც ორხავე უძველეს ქრონიკაში იხსენიება და ერთ-ერთ რელიეფზედაც არის მოყვანილი, როგორც მცხეთის ჯვრის დიდი ტაძრის აღმნებელი. თუმცა იქვე სხვა-და-სხვა კომბინაციებით საქართველოს სხვა ფეოდალებიც არიან მოხსენებული, მაგრამ ადრნერსე—ატრინერსეჭ უკელვან პირველ რიგში იხსენიება<sup>2</sup>.

ამ გვარად თუ ჩვენ ასე ვთქვათ საბუთი გვაქვს ვიფაქროთ, რომ 604—607 წლებს შეა სტეფანოზ I-ის შემდეგ ადრნერსეჭ მიიღო მთავრობა, მაშინ ჩვენი უძველეს ქრონიკების ცნობები იმის შესახებ, რომ ირაკლი იმპერატორის ლაშქრობის დროს სპარსეთში, ესე იგი ოციან წლების განმავლობაში, საქართველოს მთავარად სტეფანოზი იყოო, სტეფანოზ II-ს უნდა მივაკუთნოთ. ცნობების ასეთი, ერთი შეხედვით შემთხვევითი, გადატანა უკვე შემჩნეულია უძველეს ქრონიკებში<sup>3</sup>. თუ მივიღებთ ამ შესწორებას სტეფანოზ II-ის გამთავრებისათვის, იმ შემთხვევაში ოცი წლით წინ უნდა იქმნეს გადაწყული ვახუშტის თარიღი. ამასთან ერთად აღნათ მისი მთავრობის დასრულების თარიღიც

pars I. Keimena, t. I. Sumptibus R. Acad. Sc. edidit Prof. C. Kekelidze, Tiflis 1918, p. XXXIV.

<sup>1)</sup> ზემო მეტად. მეტენ 1901, გვ. 133, 138, 168, 170, 174 და უბა-ტანესი, ფასთავლების მათანამდებარებაზე ჩამოყალიბების შემთხვევაში, ასევე უძველეს ქრონიკებში. თუ მივიღებთ ამ შესწორებას სტეფანოზ II-ის გამთავრებისათვის, იმ შემთხვევაში ოცი წლით წინ უნდა იქმნეს გადაწყული ვახუშტის თარიღი. ამასთან ერთად აღნათ მისი მთავრობის დასრულების თარიღიც

<sup>2)</sup> საპიროო ვრაცხ აღვინიშნო, რომ უკვე 6. აკინიან ნამდვილი კური ფაქტების მიხედვით დასკვნა გამოიტანა, რომ გურარამის მთავრობა გათვებულა 586 წ. (სხერსხ ასებისა, ცხელის ცამაყის ქართველის აღმართისადამი, 40, ცხენია 1910, թ. 29). სტეფანოზის მთავრობის წლებად იგი 586—599/600 წლებს ასახელებს; მისი მემკვიდრე იყო ადრნერსე (I. c., p. 30). — მეცნიერი მხითარისის შრომიდან ამ ციტატების მოწოდებით ვალი დამდო ყოველთვის თავაზიანმა ლეონ მელი ქსე ეთბე გვა.

<sup>3)</sup> ზეად. ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მეთოდები და სხ., I, გვ. 7, 41, 42 (შეზანიკის შესახებ, ცამეტ ასუაელ მამათა შესახებ).



გადაიწევა<sup>1</sup>. ოდრნერსეს მთავრობა კი შედარებით ხანმოკლე დამლუარტიც სრულიად არ ეწინააღმდეგება მემატიანეთა ცნობებს.

ჩეენ იძულებული ვიყავით ასეთი ექსკურსი მოგვეხლინა ქრონიკობრივი, რათა რაც შეიძლებოლა უფრო გარკვეული ცნობები მიგველო სტეფანოზ I-ისა, ოდრნერსესა და უმთავრესად გუარამის შესახებ. ქრონიკა მოქმედა ქართლისა და მეტად ცოტა ცნობებს გვაძლევს სახელმწიფო წყობილების შინაგანი ცვლილებისა და მისი შექმნის პრიცესის შესახებ. ვითარცა შეფობად [ჭრთლისა] დაქრულა, ქრთლის შინა სპასინი განხდიერდეს და ჰერეთი და სიმხითი დაიძურეს; ხთლი ქართლი უშერესად დაიძურეს და კავკასიონთა შევიდეს და კარნი ივერიასთანი აიგნეს<sup>2</sup>. მაშინ სპასინი უფლებდეს ქართლს და სიმხითს და სივნივთს და გუას-პორაგანსა.. და ნელადნორ შექრბა ქრთლი და კრისია განახინეს გუასამ ჯადი; ეს იყო პირველი ერისთავი. და მერმე კურაპალატადა იყო<sup>3</sup>. ამ რიგად შოქევად ქრთლისა-ც აღნიშნიას, რომ ქართლი მაღლე ფეხზე ვერ წამომდგარა, რომ საკუთარი ორგანიზაციის მოწყობას შესდგომოდა. მართალია მაზე ქრონიკაში მეტად ცოტაა ნათქვამი, მაგრამ მაინც რჩება ძლიერი შთაბეჭდილება, რომ პირველი ერისთავის გუარამის პიროვნებამ ითამაშა ამ საქმეში არა მცირე როლი; ტყუილად კი არ მიიღო მან მეტი სახელი დიდისა და ორგორუც განსაკუთრებული ჯილდო ბიზანტიის მხრივ მოხსენებულია, რომ მას მიცემული ჰქონდა წოდება კურაპალატისა. და მართლაც თუ 523 წელს (ყოველ შემთხვევაში 532 წელს უკვე საბოლოოდ)<sup>4</sup> დაქრულა შეფობად ქრთლისა, ჯერ კიდევ 15-20 წლის შემდეგ სპარსელების ბატონობა შეიზღუდველი იყო, რაც ჩანს ევსტათი მცხოვრების ცხოვრების ავტორის შენიშვნიდან, რომ 540-545 წელს ეთვლისა კაცისა ქრთლისა შას [ტფილისში მყოფ ქართლისა მარაჟაპანს] კადაწიფების სიკუდიდა და ცხოვრება<sup>5</sup>. და უცებ ამის

<sup>1)</sup> ამ შემთხვევაში ითდი მანძილი იქნება სტეფანოზ II-ის გარდაცვალებიდან 688-მ წლამდე, როდესაც ქართლის მთავრად უკვე ნერსე იყო ივ. ჯ. ა-ვ. ვ. ბ. ი შ ვ ი ლ ი, ქართველ ერის ისტორია, II, 349), იმ ოთხ მთავრისათვის, რომელთაც ამ დროს ასახელებენ (Opis. II, 726-727 და მაგ დ. დუ. ქართლისა მარაჟაპანს] კადაწიფების სიკუდიდა და ცხოვრება<sup>5</sup>.

<sup>2)</sup> Opis. II, 723 (ცელიშ. ბელთნაწერი).

<sup>3)</sup> Opis. II, 724 (ცელიშ. ბელთნაწერი).

<sup>4)</sup> ივ. ჯ. ა-ვ. ვ. ბ. ი შ ვ ი ლ ი, ქართველ ერის ისტორია, I<sup>2</sup>, 196.

<sup>5)</sup> სიქ. სიქ., ჯ. 314 და Dschawachoff, Das Martyrium des hl. Eustatius von Mzchetha (Sitzungsberichte der kgl. preuss. Ak. d. Wiss., XXXVIII,

შემდეგ შექმნილ იქმნა საკუთარი ეროვნული სახელმწიფო ჩეკულებულება, პირველი გინდ დამოკიდებული სპარსეთისაგან. მშექენებელი ებას უნდა მიეწეროს აღმათ საყუთარი ფულის უქონლობა მაშინ; იგი ჩიდება ბევრით გვიან მოწესრიგებული ეროვნული ხელისუფლების შექმნის. შემდეგ.

დიდი ერისთავი გუარამი, რომელმაც პირველმა ჩაუყარა საძირკველი ამ ახალ სახელმწიფო წყობილებას. მთავრობდა 586 წლამდე, რაღაც სწორედ 585—6 და 586—7 წლებია აღნიშნული მონოგრამებ ქვეშ ანუ მხოლოდ ჯერის ემბლემით სასანაანთ დროის ქართულ ფულებზე, რომელნიც წარმოადგენენ ერთად ერთს მაჩვენებელს იმ წლებში მყოფ მთავრებისა და რომელნიც გვიჩვენებენ, რომ მაშინ გუარამი აღარა მთავრობდა. მისი მთავრობის დასწყისი კი უნდა ვაკუონოთ 545 წლის შემდეგ დროსა.

ასე რომ ვახუშტის თარიღები ჩეენ შეგვიძლია შეცვალოთ ამნაირად: პირველი ერისთავი გუარამ დიდი კურაპალატი მთავრობდა 545 და 586 წლებს შეა. 590 წელში მთავრობდა უკვე სტეფანოზ I. 604 და 607 წლებს შეა იგი შეცვალა აღრნერსემ, ხოლო ეს შეცვალა დაახლოებით 620 წლის სტეფანოზ II.

ტექსტების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ნაწილი ცნობებისა მცხეთის ჯვართან საეკლესიო შენობათა აგების დროზე შეეხება პატარა ეკლესიას, ხოლო შეორე ნაწილი დიდ ეკლესიას. ინავ ხნის თითოეული მთავრის ქრონოლოგიის ცნობათა განხილვამ მოგვეცა ნება დაგვედგინა ის დრო, როდესაც მთავრობდა გუარამი, რომელმაც ააშენა მცხეთის ჯვრის პატარა ეკლესია. ეს შენობა აგებულია დაახლოებით შე-VI საუკუნის შეაში, სახელდობრ 545 და 586 წლებს შეა. თვით აგება მისი დაკავშირებულია ახალ სახელმწიფო წყობილებასთან, რომელიც

1901), S. 878 (Kap. V). დამახასიათებელია, რომ მცხეთის მცირხვნეთა უფროსში თავის თავი კერ ცნა უფლებამოსილად, რომ საქმე გაერჩია.

<sup>1)</sup> თუ აქ ერთმანეთში არ არის არეული გუარამისა და გურგენის სახელები (უკანასკნელი სახელი მონოგრამაში). ასე არის არეული სახელები «მოძევად ქართლისად» ში, V გუარამისა ზატბერდის ხელთნაწერში, რასაც ჰელიშის ხელთნაწერში უდრის გურგენი. ასევე სუმბატის ქრონიკაშიც (Opus. II, 727 და მშ დაფ., 342).




ჯერ კიდევ ეწყობოდა. ეს ხაესებით გამოიხატა, რომელიც მნიშვნელოვანი თვით შენობის ხასიათშია. მთელი გარეგანი პოლიტიკა ამ ახალი სახელმწიფო ხელისუფლებისა გამოიხატება ქრისტიანული კულტურის ბრძოლაში ცეცხლთაყვანისმცემლობასთან, რომლის განსახიერებასაც კერძოდ სპარსეთი წარმოადგენდა. ქრისტიანობის შეჯიბრება ცეცხლთაყვანისმცემლობასთან და მათი შეტოვეობა იერთიანებზა საქართველოს არა მარტო სომხეთთან, არამედ ბიზანტიისთანაც და ეპენ გარეშეა ამით იყო გამოწვეული ისცე, რომ ქართველი მთავრები ითავსებდენ ბიზანტიურ საპატიო ტიტულს. ფულის მოქრის საქმეც უმჯობესდება და აյ მთავრები თან-და-თან თავისუფლდებიან სპარსეთისაგან, თუმცა პირველ ხანებში ფულს სპარსული სახისას სკრიფტ და ამაში სპარსეთის მფეხსაც ემორჩილებოდენ. ამავე თვალსაზრისით უნდა შევხედოთ ჩვენ საეკლესიო აღმშენებლობას. ევსტათი მცხოვრელის ცხოვრებიდან ჩვენ ვიცით, რომ 544—5 წელს მცხოვრების ჯვრის არც ერთი ტაძარი არ არსებოდა, ხოლო ორმოცდაათიოდე წლის შემდეგ კი იქ აღმართული იყო მცხოვრების ჯვრის მცირე ტაძარი, და დიუი ტაძარის აშენებაც დაწესებულა: ჩვენ ხომ უკვე გამოვარკვით, რომ ყოველ შემთხვევაში 590 წ. ივერიის მთავრიად სტეფანოზ I იყო. მისი ტაძარი წარმოადგენდა დიად შენობას, რომლის აგება გრძელდებოდა ათ წელზე მეტს (604—607 წლებს შეუ ის ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული). სხვა სიტყვით, მხოლოდ ნახევრი საუკუნის შემდევ დასრულდა პროცესი ახალი სახელმწიფო წყობილების შექმნისა და ეროვნული კულტურის თვით-აღმოჩენისა და გამოაშვარავებისა<sup>1)</sup>. და სწორედ მცხოვრების ჯვრის დიდი საყდარი არის უმაღლესი და უაღრესად დამთავრებული გამოხატულება მხატვრის შემოქმედებისა იმ ხანაში ხუროთმოძღვრების დაწესები. იგი გვიჩვენებს შემოქმედებითი საქმის სისრულესა და გარკვეულობას, რაც ამტკიცებს, თუ რა მაღალი და დამთავრებული მონაპოვრისათვის მოუწვევია მას. სწლ სხვაა მცირე საყდრის აგებულების საქმე, იმ საყდრისა, რომელიც რადაც ორმოცდაათიოდე წლის წინად იყო აშენებული

<sup>1)</sup> მის ძევლს წარმოადგენს სწორედ მცხოვრების ჯვრის დიდი ტაძარი, რომელიც არის იმ ხანის მხატვრულ შემოქმედების ტიპიური და დამახასიათებელი ნაწარმოები, რომლის განხილვა შეადგენს უმთავრეს საგანს ჩვენ მიერ დაშადებულ მონოგრაფიულ გამოკვლევისას ამ ტიპის ჯვარ-გუმბათიან ტაძრების შესახებ.




ეს რიცხვული  
და რომელიც დაწყერილებით არის განხილული ამ შრომაში. მე მცხოვრილი რამარი მცხეთის პატიოსანი ჯვრისა არის გარდამავალი ხანის შენობა, სადაც აგვიტულების ელექტროგენი და სადეკორაციო მოტივები უფრო ძველი განვითარების ხანისა გამოყენებულია ახლად წარმოშობილ ელექტროგენითან და მოტივებთან ერთად. ხუროთმოძღვარი სწორედ მიებაში ყოფილი; კულტურის აუგავებასა და გაშლას მისთვისაც მოუთხოვია არქიტექტურული ფურმების დამოუკიდებლად განვითარება და ისიც ცდილა ეს მოთხოვნილება სათანადოდ შეესრულებინა, მაგრამ ის კიდევ ვერ ყოფილა იმ დროის მომზადებული, რომ არქიტექტურულად დასრულებული და დამზადებული ჩამ შეექმნა. მხოლოდ ასე თუ შეგვიძლია ამ შენობის თავისებურებითა გაგება, როდესაც მათ დიდი ტაძარის თავისებურებას უნდა ვადარებოთ.

---











ԵՐԻՇԵՅՑՈ  
ԵՐԻՇԵԴՐՈՒՅՑ







ერთობლივი  
სამართლის











ძეგლი 1915 წ.

F. Gagosh  
G. Gagosh



F 98 767



ଓର୍ବଲାକ୍ଷ୍ମୀ  
ଶବ୍ଦିକାନ୍ତମର୍ଯ୍ୟା